სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 24 თებერვალი 2006 №41 (2663) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უცებ გაჩნდი!

ელენე გედევანიშვილი: ნიჭი, რომელმაც იმედი მოგვცა

ტურინის ოლიმპიადა ჩვენთვის აქამდე არნახული შედეგით დასრულდა: 16 წლის ელენე გედევანიშვილმა მე-10 ადგილი დაიკავა და თავისი ოლიმპიური დებიუტი ფიგურულად მოსრიალე ქალთა მარაქაში გარევით აღნიშნა. ელენეს გუშინ გვიან ღამით დავუკავშირდით...

— უამრავი ხალხი მოვიდა მოსალოცად. ქართულ დელეგაციაზე რომ არაფერი ვთქვა, იტალიელები, შვეიცარიელები და რუსები მეხვეოდნენ, წარმატებას მილოცავდნენ. ძალიან ემოციური იყო ყველაფერი.

— ძალიან გაზარებული იქნები...

— რა თქმა უნდა, დებიუტანტისთვის მეათე ადგილი ძალიან კარგი შედეგია, მაგრამ თუ დამიჯერებთ, გულდაწყვეტილი უფრო ვარ. ახლაც ათი წუთი მწვრთნელებს, ელენა ვოდორეზოვას და ტატიანა ტარასოვას ოთახში ვყავდი — მაწყნარებდნენ. ტირილი მინდოდა. მეტის გაკეთება შემეძლო... ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ურთულესი ილეთები, სამ პლუს სამი ბრუნი უნაკლოდ შევასრულე და მარტივი ილეთის ვერგაკეთების გამო დამაკლდა ქულები. არადა, ვარჯიშზე ყველაფერი გამომდიოდა.

— ალბათ ნერვიულობდი კიდეც...

— ესეც იყო. ლიდერთა ექვსეულიდან პირველი მე გავედი ყინულზე. მეორე ან მესამე რომ ვყოფილიყავი, ნაკლებ შეცდომას დავუშვებდი. ისე, კი მითხრეს მწვრთნელებმა, ერთი მარტივი ილეთი მაინც ამოვიღოთო, მაგრამ არ დავთანხმდი, ვარჯიშებზე ყველაფერი დაზეპირებულივით მქონდა. არ წავქცეულვარ, მაგრამ მე ხომ ვიცი, შეცდომები დავუშვი. ამხელა ტურნირზე პირველად ვარ და გამოცდილებასთან ერთად შედეგიც გაუმჯობესდება.

— შედეგი უკვე გააუმჯობესე: ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე იყავი, ხოლო ოლიმპიურ ლიდერთა ათეულით თუ ვიმსჯელებთ, ევროპელებში მეოთხე ხარ...

— ამას მეც მივაქციე ყურადღება. თავის ქება არ მინდა, მაგრამ რაც ჩემში ამაგი ჩადეს, სანახევროდ მაინც დავუფასე. იოლი არაა, ოლიმპიადაზე პირველ დღეს ლიდერთა ექვსეულში, ჯამში კი ათეულში მოხვდე. დიდი მადლობა ყველას, ვინც მქომაგობდა და ჩემი სჯეროდა. ამიერიდან უფრო მეტს ვივარჯიშებ და გაცილებით უკეთეს შედეგსაც მივაღწევ.

ბაჩო სვანიძე

ამ გოგოს თბილი გული და ყინული სჭირდებაა

AFP ტურინიდან

გიორგი ნოზაძე
ათენიდან

ყველა გზა რომში არ მიდის

კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრები უკვე ავარჯიშა

დაუგეგმავი რეპორტაჟი ათენის აეროპორტიდან

იყო და...

მამლების ყინულის ქუჩა იყო!

გადაწყდა: ევრო-2008-ის შესარჩევი ციკლის B ჯგუფის კალენდარს 2 მარტს უეფა შეადგენს.

ნამეტანი კერკეტი კაკალი გამოდგა უკრაინის ნაკრების თავკაცი ოლეგ ბლოხინი — ის კალენდარი, რაზეც ქართველები, ლიტველები, ფრანგები, იტალიელები, შოტლანდიელები და ფარერელები შეთანხმდნენ, ბლოხინმა უარყო და ხელები გაასავსავა.

გუშინ კალენდარზე შეთანხმების ბოლო შანსიღა იყო, მაგრამ... ფრანგთა მთავარი მწვრთნელი რაიმონ დომენეკი უკრაინელთა ხავსზე მოჭიდებულ ვარიანტს არ დათანხმდა: „მათ ბოლო მატჩის ჩატარება კიევში სურთ ჩვენ წინააღმდეგ. უკრაინასთან მოლაპარაკება წარმოუდგენელია, ერთი წელიც რომ მოეცათ ვადა, მაინც ვერ მოვრიგდებოდით. უკრაინელებს ყველაფერი თუ დავუთმეთ, ეს რაღა შეთანხმება გამოდის?!“ — განაცხადა დომენეკმა.

„მამლების“ თავკაცმა ისიც თქვა, უკრაინელთა ვარიანტი იტალიელებმა და შოტლანდიელებმაც უარყვესო.

უეფას თასი 2005-2006
1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ

პალერმო (იტალია) 1:0 სლავია (ჩეხეთი) (1:2)
1:0 გოდეაში (51)

რაპიდი (რუმინეთი) 2:0 ჰერტა (გერმანია) (1:0)
1:0 დ. ნიკულაე (54), 2:0 ბუგა (74)

ლევსკი (ბულგარეთი) 2:0 არტმედია (სლოვაკეთი) (1:0)
1:0, 2:0 ანგელოვი (14, 27)

შახტარი (უკრაინა) 0:0 ლილი (საფრანგეთი) (2:3)

სტიაუა (რუმინეთი) 0:1 ჰერენვენი (ჰოლანდია) (3:1)
0:1 ბრუგინკი (85)

ზენიტი (რუსეთი) 2:1 რუსენბორგი (ნორვეგია) (2:0)
0:1 რისეტი (45), 1:1 კერჟაკოვი (55), 2:1 დენისოვი (87)

ჰამბურგი (გერმანია) 2:0 თუნი (შვეიცარია) (0:1)
1:0, 2:0 ვან ბუიტენი (2, 33)

სტრასბური (საფრანგეთი) 0:0 ლიტექსი (ბულგარეთი) (2:0)

ალკმაარი (ჰოლანდია) 2:1დ.დ.(2:0) ბეტისი (ესპანეთი) (0:2)
1:0 არველაძე (26), 2:0 ჯალენსი (35), 2:1 მელი (94)
ალკმაარი: ტიმერი, ჯალენსი, მატიისენი, ობდამი, დე კლერი, ლანძაატი, სეკტიუი (მეერდინკი 103), შაარსი (მოლოეკი 86), არველაძე, ვან გალენი (კოევერმანსი 90), კ. პერესი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მსაჯი: ფლორიან მაიერი (გერმანია)
11 000 მაყურებელი

ლანსი (საფრანგეთი) 1:0 უდინეზე (იტალია) (0:3)
1:0 ფრო (55)

მარსელი (საფრანგეთი) 2:1 ბოლტონი (ინგლისი) (0:0)
0:1 იანაკოპულოსი (25), 1:1 რიბერი (45), 2:1 ჯ. ობრაიენი (67ს.კ.)

მიდლსბრო (ინგლისი) 0:1 შტუტგარტი (გერმანია) (2:1)
0:1 ტიფერტი (13)

მონაკო (საფრანგეთი) 1:1 ბაზელი (შვეიცარია) (0:1)
1:0 ვიერი (213), 1:1 მაისტოროვიჩი (54)

რომა (იტალია) 2:1 ბრიუგე (ბელგია) (2:1)
1:0 მანსინი (55), 1:1 ვერპეინი (59), 2:1 ბოვო (71)

სევილია (ესპანეთი) 2:0 ლოკომოტივი (რუსეთი) (1:0)
1:0 მარესკა (37), 2:0 პუერტა (89)
ლოკომოტივი: პოლიაკოვი, სპაჰიჩი, პაშინინი, ასათიანი, გურენკო, ბიკეი, მამონოვი, ბილიალეტდინოვი (იზმაილოვი 60), ლოსკოვი, სამედოვი (პარკსი 68), ლებედენკო
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი

ესპანიოლი (ესპანეთი) 0:3 შალკე (გერმანია) (1:2)
0:1 კურანი (54), 0:2 სანდი (70), 0:3 ლინკოლნი (73)
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი (კლასენერი 76), კრსტაიჩი, კობიაშვილი, ფ. ერნსტი, კ. პოულსენი, ბაირამოვიჩი, ლინკოლნი, კურანი (ლარსენი 74), ასამოა (სანდი 66)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
18 100 მაყურებელი

მერვედფინალის წილისყრა

მარსელი — ზენიტი
ლილი — სევილია
რაპიდი — ჰამბურგი
ბაზელი — სტრასბური
მიდლსბრო — რომა
სტიაუა — ბეტისი
პალერმო — შალკე
უდინეზე — ლევსკი

პირველი მატჩები 9 მარტს გაიმართება, საპასუხოები — 16 მარტს

თურქეთი
თასის ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ალთაი 0:1 ტრაბზონი
ქაისერი 2:0 ქარაგიუმრუქი

ჰოლანდია
მეორე დივიზიონი
XXXI ტური

ეინდჰოვენი 2:1 დენ ბოსხი

ამხანაგური მატჩი

ახალი ზელანდია 2:1 მალაიზია

როიალ ლიგა 2006
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

იურგორდენი (შვედეთი) 2:1 ვოლერენგა (ნორვეგია)
ლინი (ნორვეგია) 1:3 მიდტიულანდი (დანია)
კოპენჰაგენი (დანია) 2:0 ჰამარბი (შვედეთი)
გიოტებორგი (შვედეთი) 0:0 ლილესტრიომი (ნორვეგია)

fanaoba@hotmail.com

თავდაპირველად, ასე, ორი წლის წინ, „სარბიელში" გაჩნდა რუბრიკა „ევროფანი", რომელშიც დაუზარელი გულშემატკივარი ევროპის ჩემპიონატზე გვიზიარებდა შთაბეჭდილებას.

ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და რუბრიკამ სახელი შეიცვალა: ჯეოფანად გადაიქცა და მას მერე ქართულ ფეხბურთს დასტირის.

რასაკვირველია, ევროფანი და ჯეოფანი კიდევ შეგახსენებთ თავს, მათ კი ერთი რუბრიკაც დაემატა, რომელშიც ევროპულ საკლუბო ფეხბურთზე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ თქვენი აზრები, სურვილები თუ პროგნოზები.

მოკლედ, მოიწერეთ: **fanaoba@hotmail.com**-ზე.

ყველა გზა რომში არ მიდის

გიორგი ნოზაძე ათენიდან

გუშინ მალტის ტურნირის ორგანიზატორებმა ფედერაციის პრეზიდენტ ჯოზეფ მიფსუდის თავკაცობით ერთხელაც ითათბირეს

არ გაგიკვირდეთ, ჩემი გვარის გასწვრივ „ათენიდან" რომ წერია. საქმე ისაა, რომ მალტაზე ჩასვლა გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო ძალიან დაგვიგვიანდა.

კერძოდ: ქართული დელეგაცია თბილისიდან ვალეტაში ორ ჯგუფად უნდა გაფრენილიყო. პირველი მარშრუტი თბილისი-ათენი-რომი-ვალეტა იყო, რომელსაც ნაკრების ადმინისტრატორ-ექიმებთან, მსაჯ ლაშა სილაგავასთან და ფედერაციის პრესსამსახურთან ერთად ჟურნალისტებიც გამოვყევით, მეორე, თბილისი-ვენა-მილანი-ვალეტას რეისით კი საქართველოს ნაკრები ჩვენზე ერთი საათით გვიან გამოფრინდა.

ნაკრებმა შეუფერხებლად იმგზავრა, საღამო ხანს ვალეტაში ჩაფრინდა და, როგორც იქიდან შეგვატყობინეს, დაბინავებიდან ერთ საათში კლაუს ტოპმიოლერმა ბიჭები მსუბუქად ავარჯიშა. ეგ არის, ბურთების, ფორმებისა და სხვა საჭირო ატრიბუტიკის ნაწილი ჩვენს თვითმფრინავშია და ამის გამო ვარჯიში ხანმოკლე იყო.

ჩვენ კი პრობლემები თბილისშივე შეგვექმნა — ბარგის ზედმეტი წონის გამო გამოფრენა მანამდე შეგვიანდა, სანამ ტვირთის გადანაწილება და სტანდარტულ წონამდე შემცირება მოხერხდა. ამის გამო იყო, სავარჯიშო კომპლექტის ერთი ნაწილიღა რომ ჩაჰყვა ნაკრებს ვალეტაში.

მოკლედ, ათენში დაგვიანებით ჩამოსულებმა რომში გასაფრენ თვითმფრინავს კი ჩამოვუსწარით, მაგრამ რეგისტრაციის გავლამაც თავისი დრო წაიღო და...

ასე დავრჩით ათენში. ახლა გზა შეგვეცვალა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი ოპტიმალური ვარიანტი მოიძია: გადაწყდა, რომის ნაცვლად ბრიუსელში ჩავიდეთ და იქიდან გადავფრინდეთ ვალეტაში, რაც გაცილებით მოკლე დროში მოხერხდება და დანიშნულების ადგილზეც გამთენიისას ჩავაღწევთ.

ფედერაცია ვახსენეთ და, გეტყვით, რომ პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა თბილისში დარჩნენ. როგორც შევიტყვე, ისინი კახა კალაძის ძმის დაკრძალვის შემდეგ ჩამოვლენ მალტაზე.

და ერთიც: გადაწყდა, რომ ტურნირის დაწყებამდე, 25 თებერვალს, ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს მალტურ „ჰიბერნიანსთან". გეცოდინებათ, ამ დღეს ჩვენებს წესით ლიბიასთან მატჩით უნდა გაეხსნათ ტურნირი, მაგრამ აფრიკელთა მოულოდნელმა უარმა გათამაშების ფორმატი შეცვალა. ერთი სიტყვით, ქართველებმა დანაკლისის შევსება „ჰიბერნიანსთან" სპარინგით გადაწყვიტეს და სწორედ ამ მატჩში ვიხილავთ პირველად „ქართულ სკამზე" მოკალათებულ კლაუს ტოპმიოლერს.

ეს არის და ეს. დანარჩენი ხვალისთვის იყოს...

თქვენ გინდათ ჩემი ფული?!
მუჯირი შტურმს დაშორდა და სასამართლოთი უტევს

დავით მუჯირი უკვე დაემშვიდობა „შტურმის" ფეხბურთელებს და კვლავ ელდება კუთვნილი თანხის მიღებას — ასეთი მოულოდნელი ცნობა გაავრცელა გუშინ ერთ-ერთმა ავსტრიულმა სააგენტომ და ამ ცნობაში ისიც წერია, რომ ქართველ ნახევარმცველს 2004 წლის ოქტომბრიდან ხელფასი არ აუღია.

ნახსენებია „შტურმის" მენეჯერი კარტნიგიც (მეტსახელად „სპილო"), ვისთანაც მუჯირს ბევრჯერ ულაპარაკია მისაღები თანხის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. და კიდევ, ჩვენებურს სასამართლოში შეუტანია სარჩელი...

„მე ეს ადრეც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ გუნდისა და გულშემატკივრების მერიდებოდა. სამწუხაროდ, სხვა საშველი ვეღარ ვიპოვე. ოცჯერ მაინც ველაპარაკე „შტურმის" ხელმძღვანელებს, მაგრამ ფული ვერ მივიღე. გული მწყდება, რომ „შტურმს" ასე გამოვეთხოვე" — ამბობს მუჯირი.

ერთი სიტყვით, უხელფასობა, თანაც 16 თვე, თურმე დალაგებულ და კოპწია ავსტრიაშიც არ ყოფილა უცხო ხილი...

ახლახან ვწერდით, „მუმუს" რუსულ კლუბში გადასვლის ვარიანტი აქვსო, ეს ავსტრიულ გაზეთებშიც დაიწერა და ვნახოთ, სად დაიდებს ბინას ქართველი...

ილია ნანობაშვილი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

ფრანგების მძლავროსეული

საფრანგეთის ნაკრები 1 მარტს პარიზის „სტად დე ფრანსზე" სლოვაკეთს უმასპინძლებს ამხანაგურად და „მამლების" მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა საამხანაგოდ 20 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთა შორის ერთი დებიუტანტია — „ლიონის" მცველი ფრანსუა კლერკი.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: *ფაბიენ ბარტეზი (მარსელი), გრეგორი კუპე (ლიონი);*

მცველები: *ერიკ აბიდალი, ფრანსუა კლერკი (ორივე ლიონი), ჟან ალენ ბუმსონგი (ნიუკასლი, ინგლისი), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), ფილიპ მექსეში (რომა, იტალია), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);*

ნახევარმცველები: *ვიკაშ დორასო (პსჟ), ალოუ დიარა (ლანსი), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), ფლორენ მალუდა (ლიონი), პატრიკ ვიეირა (იუვენტუსი, იტალია), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი);*

თავდამსხმელები: *ნიკოლა ანელკა (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), ლუი საა (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), სილვენ ვილტორი (ლიონი).*

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — **მეორე წრე** — **16 ტური**

ბანკი ალიანსი
ბენეფიციარი საინფორმაციო ცენტრი

სოხუმის „ცხუმი“, სენაკის „ეგრისი“, სარატოვის „სოკოლი“, ფოთის „კოლხეთი“, „ბათუმი“ და „ზესტაფონი“, დღეიდან კი თბილისის „ამერი“ — 32 წლის მეკარე ზურაბ ქვაჩახიას ბოლო გაჩერება ჯერჯერობით სწორედ „ამერია“.

გუშინ თბილისური კლუბის ხელმძღვანელობამ და ქვაჩახიამ ხელი ხელს დაჰკრეს, ყველაფერზე საბოლოოდ მორიგდნენ და ამ სეზონის ბოლომდე კონტრაქტიც გაფორმდა. ზურაბ ქვაჩახიას ამერული დებიუტი კი შესაძლოა ხვალვე პირველ ლიგაში, „ზუგდიდთან“ მატჩში შედგეს, ყოველ შემთხვევაში, ზურა გუნდს სამეგრელოში სათამაშოდ მიჰყვება და დანარჩენი უკვე მწვრთნელმა იცის...

ის კი, რაც ზურაბ ქვაჩახიამ იცის, გუშინ „ამერთან“ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ „სარბიელს“ უთხრა...

ქვაჩახიამ ამერის კარი შეაღო

— კონტრაქტს ხელი ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე მოვაწერე. ვფიქრობ, ჩემი საკეთებელი საქმის კეთებას ამ მცირე დროშიც მოვასწრებ და მერე ვნახოთ, ჩვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდება.

— სეზონის ბოლომდე კი სულ სამი თვეა...

— რა გითხრათ, კლუბის სურვილი იყო, რომ კონტრაქტი ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე გაგვეფორმებინა.

— „ამერში“ როგორ აღმოჩნდი?

— კლუბიდან დამიკავშირდნენ და მკითხეს, სეზონის ბოლომდე თუ დაგვეხმარებიო. ბევრი არ მიფიქრია, ცოტა ხანი მოლაპარაკებებმა წაიღო და აგერ, ახლა „ამერში“ ვარ.

— კი მაგრამ, „ზესტაფონი“?

— „ზესტაფონი“ რა შუაშია?! როცა „ამერი“ დამიკავშირდა, „ზესტაფონიდან“ ერთი კვირის განთავისუფლებული, უგუნდო ვიყავი.

— რატომ გაგიშვა „ზესტაფონმა“?

— არ ვიცი, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო.

— ეგებ იმიტომ, რომ ამ გუნდმა მეკარე გრიგოლ ჭანტურია მიიღო?

— არა მგონია, რადგან, როცა გამიშვეს, ჭანტურია გუნდში არ იყო.

— ახალ გუნდზე რას იტყვი?

— ერთი ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ „ამერში“ კარგი ვარჯიშისა და თამაშისთვის საუკეთესო პირობები მექნება. „ამერს“ რუსეთის პრემიერლიგის არა, მაგრამ პირველი დივიზიონის გუნდებს შევადარებდი. ნამდვილად არ მეგონა, რომელიმე ქართულ გუნდში საქმისადმი ისეთი პროფესიული მიდგომა თუ იქნებოდა, როგორიც „ამერშია“.

— შესაბამისად, დიდია კონკურენციაც...

— მერედა, ამას რა სჯობს?! მწვრთნელს მეტი არჩევანი ექნება. „ამერში“ ჩემი საქმე მექნება, რასაც, იმედი მაქვს, კარგად გავაკეთებ და ძირითადში ადგილს დავიმსახურებ.

— როგორ ფიქრობ, ამჟამად საქართველოს საუკეთესო მეკარე ვინ არის?

— ვერ გიპასუხებ. ყველა ჩემი მეგობარია და უხერხულია მათგან რომელიმეს გამორჩევა. ისე კი, მიმაჩნია, რომ ყველა მეკარე ერთ დონეზეა.

— მაშ, გვითხარი, საქართველოში ნაკრები დონის მეკარეების პრობლემა რატომ არის? როგორც თქვი, ყველა შენი მეგობარია, ისინი რას ამბობენ, რატომ ვეღარ იზრდებიან?

— გაზრდა და აღზრდა სხვადასხვაა. იზრდებიან, როგორ არა, მაგრამ მერე? ბოლო დროს მეკარეებთან მუშაობა გაძლიერდა და მალე, ალბათ, მათი თამაშის ხარისხიც გაუმჯობესდება.

— შენ არ გქონია ნაკრები ამბიცია?

— როგორ არა, მაგრამ მაშინ, როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, როცა საუკეთესო წლები მქონდა.

— ეს როდის იყო?

— მგონი, ფოთის „კოლხეთში“ თამაშისას, ხუთი-ექვსი წლის წინ.

— მისაბაძი მეკარე რომელი გყავს?

— ვან დერ სარი. ის ყველანაირად მისაბაძია.

— კარიერაში ყველაზე დიდი იმედგაცრუება როდის გქონდა?

— ფოთის „კოლხეთმა“ სერბულ „ცრვენა ზვეზდასთან“ 0:7 რომ წააგო, მაშინ.

— ყველაზე მეტად როდის გახარებია?

— მსურს და იმედი მაქვს, რომ სასიხარულო ამბები კიდევ წინაა.

— შენი ნაკლი რა არის?

— მოდი, ამას სახალხოდ არ ვიტყვი და საიდუმლოდ დავიტოვებ. რა საჭიროა, მეტოქეებმა გაიგონ?! ჩემი პლუსი კი, ვფიქრობ, გამოცდილებაა.

— მაშინ როგორც გამოცდილ მეკარეს, ისე გკითხავ: ალბათ, შენც ბევრჯერ გსმენია, რომ მეკარეებზე ამბობენ, გიჟები არიანო...

— ეს პირველად არც გუშინ უთქვამთ, არც გუშინწინ და არც დღეს დამთავრდება მეკარეების სიგიჟეზე ლაპარაკი. არ ვიცი, რატომ ამბობენ, ისე კი, თავისთავად, როცა გიჟს გიწოდებენ, საწყენია.

— იმედია, ახლა არაფერი გწყენია...

— არა, ეს არც პირველად გამიგია და ალბათ არც უკანასკნელად.

— ყველაზე ბევრჯერ რომელ თავდამსხმელს გაუმწარებიხარ?

— ვერ ვიხსენებ. ასეთი გამორჩეული თავდამსხმელი ჩემთვის არავინაა, ზურაბ ქვაჩახიას თავის საქმე აქვს — ბურთის დაჭერა.

— ამ ჩემპიონატის ფავორიტად რომელი გუნდი მიგაჩნია?

— ოთხ-ხუთ გუნდს ჩემპიონობის თანაბარი შანსი აქვს. ასეთი კი აქამდე არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებ, პირველობისთვის ერთბაშად ამდენი გუნდი იბრძოდეს და მგონია, რომ ეს ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდება. ისე კი, ძალიან მსურს პირველი „ამერი“ იყოს.

კობა ინასარიძე

პროფლიგურ-აიეტური ამბები

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და კომპანია „აიეტის“ თანამშრომლობაზე ადრეც ვწერდით. „აიეტი“ უკვე გახდა ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი და დღეს პროფლიგის ოფისში გასამართ პრესკონფერენციაზე იმაზეც ისაუბრებენ, დაახლოებით როდის ჩაირთვება პირველი ქართული სპორტული არხი.

გარდა ამისა, ეროვნულ ჩემპიონატში „ბათუმის“ ყველა საშინაო მატჩს ტელეკომპანია „აჭარა“ გადასცემს. სხვათა შორის, „აჭარა“ ადრეც აჩვენებდა თამაშებს, მაგრამ ბოლო დროს შეწყვიტა.

ლუკა თალაკვაძე

კიევის დინამომ მარცვალაძე გაუშვა
კვირკველიას კონტრაქტამდე თურქეთიდა დარჩა

დავით კვირკველია

ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ მორიგ შეკრებაზე გაემგზავრა თურქეთში და თან ახალგამოჯანრმთელებული ქართველი თავდამსხმელი, ირაკლი მოდებაძეც იახლა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი კარგა ხანია, ტრავმებს უჩივის, ახლა კი ჯანზეა და დატვირთვების მიღებაც შეუძლია.

ზაპოროჟელებს თურქეთში თბილისიდან ჩააკითხა ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წამოსულმა დავით კვირკველიამ. მან ერთი შეკრება უკვე გაიარა „მეტალურგთან“ ერთად და უკრაინული სააგენტოების ცნობით, კლუბთან კონტრაქტს თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ გააფორმებს.

ბარემ აქვე ვთქვათ კიევის „დინამოზეც“ — ანატოლი დემიანენკოს გუნდი ისრაელური შეკრების ბოლო სპარინგს სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ გამართავს, თუმცა ამ მატჩში არ ითამაშებს ოთარ მარცვალაძე, რომელიც საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული და კიეველებმაც უკვე გაათავისუფლეს შეკრებიდან. შეგახსენებთ, რომ მარცვალაძე, ფაქტობრივად, დინამოელია — მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და კიეველებიც მალტიდან დაბრუნებულ ქართველს ახალ კონტრაქტს დაახვედრებენ.

რაც შეეხება კახა ალადაშვილს — იგი „დინამო 2“-ს კვიპროსულ შეკრებაზე ახლავს და იქ ერთი ტესტ-მატჩის გამართვაც მოასწრო — კიეველებმა რუმინულ „პანდურიის“ 1:0 მოუგეს.

კახა შალამბერიძე

ლომაია ლუჩ-ენერგიას 11 მეტრიდან დაეხმარა

ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში“ გადასულმა გიორგი ლომაიამ პირველი მატჩი ჩაატარა ახალი გუნდის შემადგენლობაში და თავიც გამოიჩინა — 85-ე წუთზე პენალტი მოიგერია.

ვლადივოსტოკელები ამჟამად თურქეთში არიან შეკრებაზე და უკრაინულ „კრივბასსაც“ იქ გაეჯიბრნენ. შეხვედრა კრივოიროგელთა გამარჯვებით დასრულდა (1:0), თუმცა რუსი ჟურნალისტების ცნობით, ამაში ქართველი მეკარე უცოდველია — პენალტის გარდა ლომაიას რამდენჯერმე გადაურჩენია გუნდი.

ცნობისთვის: „ლუჩ-ენერგიამ“ „კრივბასთან“ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა.

კახა შალამბერიძე

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

ჩელსი 1:2 ბარსელონა

1:0 მოტა (59ს.კ.), 1:1 ტერი (71ს.კ.), 1:2 ეტოო (80)

ჩელსი: ჩეხი, ჰ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, დელ ორნო, გუდიონსენი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (ჯერემი 40), კრუსპო (დროგბა 46), რობენი (რაიტ-ფილიპსი 78)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ბარსელონა: ვ ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონგჰორსტი (სილვინიო 69), დეკო (ინიესტა 85), ედმილსონი, მოტა (ჰ. ლარსონი 66), მესი, რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: პუიოლი, ინიესტა

გაძევება: დელ ორნო (37)

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

39 521 მაყურებელი

გოლები საკუთარ კარში: ტიაგო მოტამ ვალდესს გაუტანა, ჯონ ტერიმ კი პეტრ ჩეხს

ოლე, ლეო!

მაურინიუს უიბილე გამოუვიდა

ვერც ატალახებულმა

„სტემფორდ ბრიჯმა", ვერც „ჩელსის" გუნდურმა სულმა და ვერც ინგლისელი გულშემატკივრების ღრიალმა „ბარსელონას" ოთხშაბთის ფიესტას ხელი ვერ შეუშალა. „ბარსა" მეორე ტაიმის დასაწყისში ტიაგო მოტას ავტოგოლით დაზარალდა, თუმც ჯონ ტერის ასევე საკუთარ კარში შეგდებულმა ბურთმა და მერე ეტოოს აუღებელმა თავურმა ტაბლოზე, სტუმართა გამარჯვება დაფიქსირა. ამ შედეგით ფრანკ რაიკარდის ბიჭები სანახევროდ უკვე მეოთხედფინალში არიან. „ჩელსიმ" კი ასიერ დელ ორნოს გაძევების შემდეგ მატჩის უმეტესი ნაწილი კაცნაკლულმა ითამაშა...



შეხვედრა ერთობ მძაფრად დაიწყო, თუმცა „სტემფორდ ბრიჯზე" შეკრებილმა ფანებმა „ჩელსის" მოსალოდნელი ტოტალური შტურმი ვერ იხილეს. „ბარსას" ჩვეული ლაღი ფინტაობაც არსად ჩანდა. ტალახიანი მინდორი, მოგეხსენებათ, ტექნიკას არ სწყალობს. თუმც რამდენიმე ხნის შემდეგ სტუმართა უპირატესობა მაინც გამოიკვეთა. „ჩელსი" კი მეტოქის შეცდომის მოლოდინში იყო.

სტუმართაგან ლეო მესიმ ითამაშა გადასარევად. არგენტინელმა ბიჭუნამ მოწინააღმდეგის გამოცდილ მცველებს სისხლი გაუშრო და თავისი ოსტატობა მთელ ევროპას დაუმტკიცა. ამან საშინლად გაანერვიულა მესიზე მიჩენილი ასიერ დელ ორნო. ბასკი იქამდე ეჭიდავა ლეოს, სანამ მსაჯისგან წითელი ბარათი არ მიიღო. 37-ე წუთზე მასპინძლები მინდორზე 10 კაცით დარჩნენ.

თუმცა „ჩელსი" ყოველთვის „ჩელსია" და თითქოს შესუსტებულმა ლონდონელებმა მეორე ტაიმში „ბარსას" უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს. მაურინიუს ერთ მუშტად შეკრულმა გუნდმა კატალონიელები საკუთარ საჯარიმოს მიალურსმეს. ამ იერიშების ლოგიკური დასასრული გოლი უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა — ლამპარდის ჯარიმა ჯონ ტერისგან შევიწროებულმა მოტამ უხეიროდ მოიგერია და 59-ე წუთზე ანგარიში 1:0 გახდა.

სწორედ აქედან დაიწყო „სტემფორდ ბრიჯზე" ის კატალონიური ქარიშხალი, რომელმაც ლონდონელთა გაუვალი ჯებირები გაარღვია. ფრანკ რაიკარდმა მებრძოლი, მაგრამ უღიბლო მოტას ნაცვლად გოლზე დაგეშილი შვედი ჰენრიკ ლარსონი შეუშვა. რონალდინიომაც და ეტომაც, რომლებიც აქამდე ჩაძინებულებს ჰგავდნენ, ბრჭყალები გამოაჩინეს და „ჩელსის" უკანახაზელები შეავიწროვეს. საგოლე ეპიზოდები თავზესაყრელი იყო. მესი ინგლისელ მცველებს თავის ჭკუაზე ატარებდა. „ბარსას" საპასუხო გოლიც ვენდეტა იყო. 71-ე წუთზე რონალდინიომ საჯარიმო დაარტყა და მოტას ჯალათად ქცეულმა ჯონ ტერიმ ავტოგოლი შეაგდო. ცოტა ხნის მერე მატჩის გმირმა ლეო მესიმ პეტერ ჩეხის კარის ძელს გაარტყა ბურთი.

გამარჯვების გოლი კატალონიელებმა მარკესის კარგი პასითა და ეტოოს თავურით გაიტანეს. „ჩელსიმ" მაურინიუს მწვრთნელად მოსვლიდან (2004-ის ზაფხული) „სტემფორდ ბრიჯზე" პირველი მატჩი წააგო, თანაც 50-ე, საიუბილეო... თუმცა ესპანური პრესა წერს, მაურინიუს გუნდს ნუგეშად ის უნდა ჰქონდეს, ევროპის საუკეთესო კლუბთან რომ დამარცხდაო. „მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ, ოღონდ შინ მოდუნებას არავინ აპირებს, ყველამ კარგად ვიცით, „ჩელსის" მეორე რაუნდში რა ხიფათის მოტანაც შეუძლია" — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ფრანკ რაიკარდმა.

ლადო ხომერიკი

ჟოზეს ჩმახეები

ბოღმიანი მესიჯი: მესი თაღლითია

ჟოზე მაურინიუ, რა თქმა უნდა, ილაპარაკებს.

ჟოზეს სიტყვაკაზმულობისა ოდითგანვე ცნობილია.

შინ „ბარსელონასთან" წაგების, პირველი ტაიმის ბოლოს კი ასიერ დელ ორნოს ლეო მესისთან შეჯახების გამო გაძევების შესახებ ჟოზე ფიქრობს შემდეგს:

„საერთოდ, ღირს კი საპასუხო მატჩისთვის კატალონიაში წასვლა? ასე მგონია, რომ იქ ჩვენს სათადარიგოებს გავუშვებთ. თუ ლეო მესის არ დასჯიან და ის ჩვენ წინააღმდეგ მინდორზე იქნება, „კამპ ნოუზე" „ჩელსის" დუბლები ითამაშებს, ძირითადი კი შინაური თამაშებისთვის მოემზადება. ამგვარი თაღლითობა როგორ მოეწონებათ? მესი თაღლითია. ბარსელონა კულტურული ქალაქია და იქ ბევრი თეატრია. მესი ალბათ დაიარება თეატრში და სამსახიობო ოსტატობას ეუფლება. უწლოვანი ბიჭის პირობაზე კი მსახიობი ჩანს. მან დელ ორნოსთან შეჯახება გაითამაშა. ეს არ იყო წითელი ბარათი. შევძლებთ ამ ბარათის გაუქმებას? ანდა მესის დასჯას სიმულანტობისთვის? არ ვიცი. არ მინდა, ბევრი ვილაპარაკო, რადგან, ეგებ ჩემი დასჯაც მოიწადინონ. მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით".

ასე ნალანძღმა ლეომ კი თქვა: „არ ვიცი, რა მოხდა. საერთოდ ვერ აღვიდგინე იმ შეჯახების სურათი".

ყმაწვილი ფრენკ რაიკარდმა დაიცვა: „მესი მსახიობი არ არის. შეჯახებისას წაიქცა. დამნაშავე მეტოქე იყო, მეტი არაფერი".

„ჩელსი" — „ბარსელონას" მატჩის მსაჯმა ტერიე ჰაუგემ, რომელსაც ასიერ დელ ორნოს გაძევება სალაპარაკოდ გაუხადეს, თქვა: „ამ მომენტს ვიდეოფირზეც ვუყურე. შენელებული კადრების ყურებას აზრი არა აქვს. ჯობია, ნამდვილ ტემპში ნახო. მგონია, რომ ეს წითელი ბარათი გარდამტეხი იყო თამაშში. საკუთარი მსაჯობით კმაყოფილი ვარ. უხეშ თამაშს ველოდით და ასეც იყო".

ბარსელმა დეკომ კი მსაჯი დაიცვა: „მგონია, რომ დელ ორნო ძალიან უხეშად წავიდა ბურთზე. ჩვენ მის გაძევებამდეც კარგად ვთამაშობდით".

სამუელ ეტოომ კი დაურთო: „მოედანზე მსაჯი უსტვენს. მან გადაწყვიტა, რომ დელ ორნოს წითელი ერგებოდა".

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

იოან მიკუ გოლს ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი 3:2 იუვენტუსი

1:0 შულცი (39), 1:1 ნედვედი (73), 1:2 ტრეზეგე (82), 2:2 ბოროვსკი (87), 3:2 მიკუ (90)

ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, ფარენპორსტი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე (ნ. ვალდესი 68), კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შაფი

იუვენტუსი: ბუფონი, ბლაზი, ტურამი, კანავარო, ბალძარეტი, კამორანეზი (ზალაიეტა 75), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 59), ტრეზეგე

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ნედვედი, შულცი, ტრეზეგე, ბალძარეტი, ვიეირა

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

37 000 მაყურებელი

დიდი ფეხბურთის ნაზირ-ვეზირები ვეზერშტადიონზე

იტალიური ვერსია: ხანდახან არის მატჩები...

გერმანული ვერსია: ფანტასტიკური ფეხბურთის საღამო

ბრემენის „ვეზერშტადიონზე“, 37 ათასი მაყურებლის წინაშე, „ვერდერმა“ „იუვენტუსი“ დაამარცხა. თქმა არ უნდა, ამ წყვილში ფავორიტად იმთავითვე „იუვენტუსს“ მიიჩნევდნენ და, წესით, ეს შეხედულება პირველი თამაშის შედეგსაც არ უნდა შეეცვალა, მაგრამ მასპინძლებმა დრამატულ და ეფექტურ გამარჯვებას რომ მიაღწიეს, ესეც უდავოა. ვფიქრობთ, შეხვედრის დრამატულობაზე გოლების თანმიმდევრობა და წუთები ყველანაირ აღწერაზე კარგად გვიამბობს, ამიტომ ზედმეტსიტყვაობით თავს არ შეგაწყენთ და ოქმისთვის თვალის გადავლებას გირჩევთ. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კი ასეთი სიტყვები ითქვა.

ფაბიო კაპელო: „მასპინძელთა მეორე გოლი იღბლიანი რიკოშეტის წყალობით გავიდა, მესამე კი, ჩვენდა სამწუხაროდ, თამაშის ბოლო დარტყმა გამოდგა. სხვათა შორის, ისეთი მდგომარეობებიდან გაშვება, ხსენებული მეორე გოლის დროს რომ ვნახეთ, საერთოდ არ გვჩვევია და ამიტომაც არ მგონია, განგაშის საფუძველი გვქონდეს. რაც შეეხება მესამეს, ჯერ ერთი, „ვერდერს“ რამდენიმე მაღალი ფეხბურთელი ჰყავს და მეორეც, მატჩის ბოლო წამებზე მთელი მათი გუნდი ჩვენს კარს მოაწყდა, რაც ტიპიური ვითარება ნამდვილად არ არის. ერთი სიტყვით, „იუვენტუსს“ კვლავაც საუცხოო დაცვა ჰყავს, უბრალოდ, ხანდახან არის მატჩები, როდესაც მოწინააღმდეგე რამდენჯერაც დაარტყამს, იმდენი გოლი გააქვს და ასეთ დროს ვერაფერი გშველის, ვერც ის, რომ შენი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონია. რაც შეეხება განწყობას, ჩვენს ბანაკში ყველა გაწბილებულია, გამარჯვება ხომ ხელთ გვეპყრო, თუმცა, რაც მოხდა, იმას დადებითი მხარეც აქვს — სტუმრად ორი გოლი გავიტანეთ. საერთოდ, „ვერდერი“ შინ ძლიერად თამაშობს და ბუნდესლიგის ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი. მართალია, წინ რომ მოდის, დაცვაში სივრცეებს ტოვებს, მაგრამ მათი ფიზიკური მომზადებისა და შეტევის ინტენსივობის გამო ამ სივრცეებით სარგებლობა ძალიან ძნელი საქმეა. ვერ გეტყვით, როგორ ითამაშებს „ვერდერი“ ტურინში, მაგრამ ფაქტია, რომ ინიციატივა ჩვენ უნდა ჩავიგდოთ ხელთ. ვაკვირდები მათ ბუნებას და იმედი მაქვს, რომ ისინი „დელე ალპიზეც“ შეგვიტევენ, თუმცა პირველმა თამაშმა გვაჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით გვმართებს თამაში“.

შემდეგ კაპელოს ალესანდრო დელ პიეროზე ჰკითხეს, რადგან ვეტერანმა „ბებერი ქალბატონის“ ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა, რაზეც მწვრთნელმა ასე მიუგო:

„დელ პიერო და მარსელო ზალაიეტა ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან შესვლისთანავე შეუძლიათ, თამაშის მსვლელობას ხელი დაატყონ. სხვა ფეხბურთელებს, როგორც წესი, საამისოდ დრო სჭირდებათ ხოლმე“.

„ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შაფმა კი გადახდილი ბრძოლა ასე შეაფასა:

„ჩვემა გუნდმა ფანტასტიკური ფეხბურთის საღამო გვაჩუქა, რომელსაც დიადი დასასრულიც მოუძებნა. შესანიშნავი პირველი ტაიმის შემდეგ შეტევის ჭავლი ცოტა შევანელეთ, რადგან დაღლა ვიგრძენით, მაგრამ „ვერდერი“ იმის „ვერდერია“, რომ ყოველთვის პოულობს ახალ ძალებს. „იუვენტუსის“ კართან ამდენი საგოლე მომენტის შექმნა დიდი საქმეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ძალიან მაღალი ხარისხის ფეხბურთს ვთამაშობთ.

პაპუნა კედია

ვის ამოუვა კიჭები?

შევჩენკო რონალდოზე დაფაცურდა

ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო რომ „რეალის“ დატოვებაზე ფიქრობს, ამაზე უკვე ბევრს წერენ და ლაპარკობენ. მას მყისვე მრავალი მსურველი გამოუჩნდა, ყველაზე მეტად კი იტალიური „მილანი“ აქტიურობს. ამჯერად განცხადება „როსონერის“ უკრაინელმა ლიდერმა ანდრეი შევჩენკომ გააკეთა და „კიჭა“ „სან სიროზე“ დაპატიჟა.

„რონალდო მადრიდში ბედნიერი არ ჩანს და გარემოს გამოცვლა არ აწყენდა. ამაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ. ასეთი ფეხბურთელის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. იგი კვლავ ბრწყინვალე ფორვარდია და „მილანს“ ძალიან გამოადგება“ — თქვა „შევამ“.

რონალდოსთვის ბრძოლაში „მილანის“ მთავარი კონკურენტები მისი თანაქალაქელი „ინტერი“ და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ იქნებიანო, ამბობენ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს „რეალთან“ 2008 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი.

მილანური თემა კი დიდათი განვავრცოთ. ბრაზილიელი მეკარის ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა. თუმცა მას ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნთან“ საპასუხო მატჩის გამოტოვება მაინც მოუწევს. ექიმები რამდენიმე დღეში ზუსტად იტყვიან, რა დრო დასჭირდება 33 წლის გოლკიპერის მომჯობინებას.

აქვე შეგახსენებთ, რომ „მილანს“ „ბაიერნთან“ ჯენარო გატუზო ვერ დაეხმარება დისკვალიფიკაციის გამო, ხოლო მარკოს კაფუსა და პაოლო მალდინის თამაში საეჭვოა.

კოკი კანდელაკი

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

ყველაფერი წყვილად: გოლებიც და მთვრალებიც

აიაქსი 2:2 ინტერი

1:0 ჰუნტელაარი (15), 2:0 როსალესი (20), 2:1 სტანკოვიჩი (48), 2:2 კრუზი (86)
აიაქსი: შტეკელენბურგი, ტრაბელსი, ჰეიტინგა, ფერმაელენი, ემანუელსონი, მადურო, ლინდენბერგი, ბუხარი, მ. როსალესი (რ. ბაბელი 89), ჰუნტელაარი, როზენბერგი
მწვრთნელი: დანი ბლინდი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ბურდისო, ფიგუ, კამბიასო, სტანკოვიჩი, სეზარი (დ. პიზარო 46), ადრიანო (მარტინსი 65), კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კორდობა, პიზარო, როზენბერგი, კრუზი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
46 663 მაყურებელი

„ამსტერდამ არენაზე“ წყვილის ფავორიტის სტატუსით ჩასული „ინტერი“ მე-20 წუთზე უკვე 0:2-ს აგებდა. „აიაქსმა“ თამაში ჩვეულად, ლაღად და შეტევებით დაიწყო. ჯერ კლაას-იან ჰუნტელარმა იხეირა კოხტა თავურით, მერე კი მაურო როსალესმა შეაგდო — სტუმართა მცველების დაბნეულობით ისარგებლა.

„ინტერის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მილანელები მალე მოეგნენ გონს და ნელ-ნელა უპირატესობაც იგდეს ხელთ. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე „ნეროაძურიმ“ ერთ ეპიზოდში ორჯერ მოარტყა ბურთი ხარიხას.

როგორც ჩანს, შესვენებაზე რობერტო მანჩინიმ საჭირო სიტყვები უთხრა შეგირდებს, რადგან მეორე ნახევარში სულ სხვა „ინტერი“ ვიხილეთ. ტაიმის დასაწყისშივე დეიან სტანკოვიჩის ძლიერ დარტყმას და ორმაგ რიკოშეტს პირველი საპასუხო გოლი მოჰყვა. 65-ე წუთზე ულიმლომად მოთამაშე ადრიანოს ნაცვლად მინდორზე ობაფემ მარტინსი გამოჩნდა და მილანელთა იერიშები მანაც გაახალისა. საბოლოოდ, ხულიო რიკარდო კრუზმა მატჩის მიწურულს 2:2 გახადა და „ინტერმა“ ჰოლანდია სასურველი ანგარიშით დატოვა.

რობერტო მანჩინი: „აიაქსმა“ კარში სულ სამჯერ დაარტყა და ორჯერ გაგვიტანა. დარწმუნებული ვარ, ჩემი ფეხბურთელები უფრო მარტივ თამაშს ელოდნენ და ასე პასიურად იმიტომ დავიწყეთ, რის გამოც დაგვსაჯეს კიდეც. საბედნიეროდ, დროულად გამოვფხიზლდით და საბოლოოდ მოგებაც შეგვეძლო. მეორე ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ. პირველ ტაიმში კი გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. ამსტერდამელებს ახალგაზრდა, შეტევის მოყვარული გუნდი ჰყავთ და საწყის წუთებში დიდი ენთუზიაზმით ითამაშეს“.

„მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაშვებულმა გოლმა ხასიათი გაგვიფუჭა და სათამაშო სქემიდან ცოტა ამოვვარდით. მთავარი შეცდომა მეტოქისთვის ზედმეტი სივრცის მიცემა იყო. სამწუხაროდ, რამდენიმე ლიდერი გვაკლდა და სათადარიგოთა სკამზე ბავშვები ისხდნენ. ასე რომ, სხვა რესურსი არც გვქონია. მართალია, მილანში თამაში ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შანსი ისევ გვაქვს და ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — განაცხადა „აიაქსის“ მწვრთნელმა დენი ბლინდმა.

„აიაქსის“ ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა და მთავარმა იმედმა კლაას-იან ჰუნტელაარმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „პირველ ტაიმში მშვენივრად ვითამაშეთ, მაგრამ მერე იღბალმაც ზურგი გვაქცია და უპირატესობაც დავუთმეთ მეტოქეს. მართალია, ჩვენთვის სასიამოვნო ანგარიში არ არის, მაგრამ ნურავინ ჩათვლის, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყოს.

ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა ამსტერდამის აეროპორტში. ოცამდე მთვრალმა „ინტერის“ ფანმა თვითმფრინავში აურია. პოლოტი უკვე ასაფრენად ემზადებოდა, „ნეროაძურის“ ორი ქომაგი კი დაჯდომაზე სასტიკ უარს აცხადებდა და კაბინაში დაბორიალობდა. საბოლოდ მათ პოლიციის განყოფილებაში ამოჰყვეს თავი, მაგრამ ორივე მათგანი 250 ევროს გადახდისთანავე გაუშვეს.

გიორგი ძაძაბაძე

კამბიასო კრუზს ულოცავს

დადომ თავი უკუღმა დადო

რეინჯერსი 2:2 ვილიარეალი

0:1 რიკელმე (83), 1:1 ლოვენკრანდსი (22), 1:2 ფორლანი (35), 2:2 პენია (82ს.კ.)
რეინჯერსი: ვატერუსი, ჰატონი, კირიაკოსი, ფ. როდრიგესი, ს. სმიტი, ბარკი, ბემდანი, ბ. ფერგიუსონი, ნამუში (ბუფელი 69), პრსო (ბოიდი 89), ლოვენკრანდსი (ნოვო 76)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო, არუაბარენა (სორინი 62), პენია, სენა, ხოსიკო, ტაკინარდი, რიკელმე (არზო 90), ფორლანი, ხოსე მარი (როხერი 84)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: როდრიგესი, არუაბარენა, ფორლანი, პრსო, ვიერა
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)
49 170 მაყურებელი

დიეგო ფორლანს „რეინჯერს-ს“ მცველმა და მეკარემ დაასწრეს

„ვილიარეალის“ ფორმა არ ეცვა, თორემ ისე რეინჯერსელი დადო პრსო ესპანელთა მხარეს იყო და მასპინძლები ორჯერ აზარალა. მერვე წუთზე პენალტი მის გამო დაინიშნა, ხოლო 35-ეზე საჯარიმოდან ბურთი უხეიროდ გაიტანა, რასაც სტუმართა მეორე გოლი მოჰყვა.

ეტყობა, თამაშის წინა დღეს „ჩაფართა“ ხორვატმა ხელბურთს უყურა და ამიტომაც მოიგერია ბურთი ხელით საკუთარ საჯარიმოში, როცა ცხვირწინ ფრანგი მსაჯი ერიკ პულა ედგა. პრსომ ისე აშკარად გააკეთა ეს, რომ „აიბროქსიც“ გააოგნა და თანაგუნდელებიც, პულამ კი დაუსტვინა და საპენალტე ნიშნულისკენ წავიდა.

თერთმეტი მეტრიდან დარტყმაში რიკელმეს ვინ შეეცილებოდა, არგენტინელი ხომ ამ საქმის უბადლო მცოდნეა. ცენტრში დაარტყა, ხოლო ვატერუსი გადახტა — 0:1.

მართალია, „რეინჯერსი“ ამ სეზონში ძველებურად ვერ ჩაუქობს, მაგრამ რაც უნდა მისუსტებული იყოს, „აიბროქსიდან“ სტვენა-სტვენით დ? „იღლიაში ამოჩრილი გამარჯვებით“ არვინ წასულა. ვერც „ვილიარეალი“ წავიდა.

„ჩაფრები“ მეტოქის საჯარიმოს მიასკდნენ და... მეორე გოლი გაუშვეს. გონსალომ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. რაკიღა არ ჩათვალა, ამით გალაღებულმა „რეინჯერსმა“ უფრო გემრიელად შეუტია. 22-ეზე დანიელმა პეტერ ლოვენკრანდსმა ისეთი გოლი შეაგდო, რომ ნამატჩევს თქვა: „თვითონ გამიკვირდა, ოღონდ უფრო მეტად საკვირველი „ვილიარეალის“ მოკლეპასური თამაში იყო“. ლოვენკრანდსამდე ბურთი კრის ბარკმა მიიტანა, რომელმაც მოედნის ცენტრიდან საჯარიმოს ხაზამდე იარა, დანიელმა კი დაჭკრა და ბურთი ცხრიანში შეაგრიალა — „ვილიარეალის“ მეკარე სებასტიან ვიერამ თვალიღა გააყოლა.

სტუმრებმა მოკლეპასური გააგრძელეს და კვლავ დაწინაურდნენ, თუმცა გოლი სადავო გახდა. რიკელმემ საჯარიმოში ჩააწოდა, პრსომ თავით ისევ არგენტინელს „დაუბრუნა“, პინგ-პონგი იმით დასრულდა, რომ ბურთი რიკელმესგან გონსალოს, მერე კი ფორლანს მიუვიდა და მანაც გაიტანა. რეინჯერსელების აზრით, ფორლანი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ თვით ალექს მაკლიშმაც კი თქვა მატჩის შემდეგ, წესების დაცვით გაგვიტანესო.

მეორე ტაიმში „რეინჯერსმა“ ალყაში მოაქცია „ვილიარეალი“, რომელსაც კონტრშეტევებზე შეეძლო ეხეირა და მასპინძლებისთვის საქმე გაერთულებინა, თუმცა შეცვლაზე შესული „ჩაფარი“ ტომაშ ბუფელის პასმა თამაში ფრედ დაასრულა. ბუფელმა მარცხნიდან ჩააწოდა, სტუმართა ბოლივიელმა მცველმა მანუელ პენიამ კი ქუსლით ბრწყინვალე გოლი შეაგდო საკუთარ კარში, მოგერიება უნდოდა...

დასრულებამდე ორი წუთით ადრე დათარსულმა პრსომ ყვითელი ბარათი მიიღო და საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

„ძალიან კარგ გუნდს ვეთამაშეთ — თქვა ალექს მაკლიშმა — თავად ნახეთ, თუ რას ნიშნავს მათთვის რიკელმე. ის კლასით ყველა დანარჩენ ფეხბურთელს სჯობს და ვიცი, რომ ესპანეთში დიდი ბრძოლა გველის, მაგრამ ჩვენ მზად ვართ საბრძოლველად“.

ვაჟა ხუციშვილი

ვიქტორიას ქმარი ერიკსონის მაჭანკალია

მადრიდის „რეალის“ ყოველი მარცხი სამეფო გუნდში მწვრთნელის პრობლემას ახალი ძალით წარმოაჩენს ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა. მას შემდეგ, რაც „რეალი“ ლონდონის „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ თამაშში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაახდინა, ესპანურ-ინგლისური გაზეთები გალაქტიკურ კლუბში ახალი დამრიგებლის მისვლაზე უმალ ალაპარაკდნენ.

გუშინდელი „მარკას“ ცნობით, „რეალის“ პრეზიდენტი პერესი განრისხებულია — იგი ლოპეს კაროს მუშაობით ერთობ უკმაყოფილო ყოფილა, ალბიონური „დეილი მირორი“ კი უკვე მადრიდული გრანდის მომავალ თავკაცს გვისახელებს — ეს შვედი სვენ გორან ერიკსონი გახლავთ, ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი. „მირორის“ ცნობით, „რეალი“ ერიკსონთან მოლაპარაკებას აწარმოებს და შვედიც მადრიდში 2006 წლის გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ჩავა.

ფლორენტინო პერესთან ერიკსონის თავდები კი დევიდ ბექჰამია. ინგლისელი თავისი კლუბის პრეზიდენტს შვედის შესახებ ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ესაუბრება. თუ სენიორ ფლორენტინომ მართლა გადაწყვიტა ლოპეს კაროს შვედით შეცვლა, სვენ გორან ერიკსონი სეზონში 6 მილიონ ევროს მიიღებს.

„რეალის“ მესვეურნი ნისლიან ალბიონზე მარტო მწვრთნელს არ უყურებენ მუშტრის თვალით, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ოცნება „არსენალის“ მეგოლე ფორვარდი ტიერი ანრიცაა, რომელმაც ხსენებულ სალიგო ჯახში „რეალს“ გამარჯვების გოლი შეუგდო. „მარკაში“ და „ასში“ დიდის ამბით აღნიშნავენ, ანრიმ სამეფო გუნდის ინჩასები დაატყვევა და ფანობა პრეზიდენტს არსენალელის „რეალში“ ჩამოყვანას კატეგორიულად სთხოვს. ინგლისური მედიის აზრი კი ორად გაიყო — „დეილი სტარი“ და „სანი“ ტიერი ანრის „მეთოფეთა“ ერთგულად გვისახავენ, ხოლო „თაიმსში“ სულ სხვას ვკითხულობთ: „ანრი „რეალში“ გადასვლაზე ოცნებობს და მისი მომავალიც სავარაუდოდ ესპანურ გრანდს უკავშირდება“. ვნახოთ, სეზონის დასრულების შემდეგ ფრანგი ანრი და შვედი ერიკსონი სად გადაბარგდებიან.

ლადო ხომერიკი

ინტერნეტარეების დასასრული

ფიფამ ხუთკუნჭულობა იკისრა

გაზეთთა მსოფლიო ასოციაციამ და საინფორმაციო სააგენტოებმა, მათ შორის ისეთმა გავლენიანმა სააგენტომ, როგორიც ინგლისური „რეიტერია“, ფიფას წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს. მიზეზი: ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის თამაშებიდან ინტერნეტით ფოტოების გავრცელება სასტიკად შეზღუდა. ვაზუსტებთ, აქ იგულისხმება ყველანაირი გავრცელების შეზღუდვა, მათ რიცხვში ილუსტრაციების გაზეთთა ვებგვერდებზე განთავსებაც და ეს ყველაფერი დროის ლიმიტის გასვლისა თუ გაუსვლელობის მიუხედავად.

ამ მტკივნეულ თემასთან დაკავშირებით მასმედიის ზემოხსენებულმა ორგანიზაციებმა ფიფას ხელმძღვანელებთან უშუალოდ შეხვედრა და საქმის არსში გარკვევა ითხოვეს, მაგრამ ფეხბურთის ბოსებმა ეს შეხვედრაც იუარეს. საინტერესოა აგრეთვე, რომ აკრძალვა შეეხო ხსენებული ფოტოების რედაქციათა შეხედულებისამებრ დაბეჭდვასაც, რაც, მართალი გითხრათ ცოტა გაუგებარია.

გამოსავლის ძიებაში მსოფლიო გაზეთ-სააგენტოთა წარმომადგენლები და გაერთიანებები სასამართლოებში ჩივილს, გერმანიის მთავრობის შეწუხებასა და მსოფლიოს ჩემპიონატის სპონსორების შეფუცხუნებას აპირებენ.

„ჩვენ სპორტულ ღონისძიებათა აკრძალვების გარეშე გაშუქების უფლებას ვიცავთ — განაცხადა „რეიტერის“ შეფმა მონიკ ვილამ — ჩვენ გვაქვს უფლება, გავაშუქოთ ყველაფერი, იქნება ეს ფეხბურთი, ომი თუ პოლიტიკური ამბები“.

ბოლოს კი ხსენებული აკრძალვები დავაზუტოთ. უპირველეს ყოვლისა, საუბარია მსოფლიოს ჩემპიონატის ყოველი მატჩის თითო ტაიმიდან არაუმეტეს ხუთი ფოტოს გავრცელებაზე. თუ ინიშნება დამატებითი დრო, ამ შემთხვევაში მასმედიის საშუალებებს ფიფა დამატებითი დროის თითო ტაიმიდან მხოლოდ ორი ფოტოს გავრცელების ნებას რთავს და ამაში პენალტების სერიაც შეაქვს.

პაპუნა კედია

სისოკო თვალის ჩინს ელის

საქმე ისაა, რომ ლივერპულელთა ძალული ნახევარმცველი მუჰამედ სისოკო თვალის ექიმთა განჩენს ელის და მათ სიტყვაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა კარიერის გაგრძელებას 21 წლის ფეხბურთელი.

„ბენფიკასთან“ მატჩისას სისოკოს ლისაბონელ ბეტოსთან მოუხდა შეჯახება და თვალი დაუზიანდა. მას ბეტოს ფეხი პირდაპირ თვალში მოხვდა.

ლივერპულელს ლისაბონშივე აღმოუჩინეს დახმარება, რადგან ის ცალი თვალით ვეღარ ხედავდა. მოლოდინი იმის გამო, რომ უახლოეს ორ-სამ დღეში სისოკოს მხედველობა მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს.

ბეტომ კი თქვა, რომ ეს ორთაბრძოლა იყო და გულშიაც არ გაუვლია ძალით დაზიანება. „თვალი საშინლად გაუსივდა. ბოდიშს ვუხდი. ჩვეულებრივი რისკიანი შეხლა იყო შუა მოედანზე, როგორებიც ხდება ხოლმე. არ მინდოდა, რომ ასე დამართნოდა“ — თავი იმართლა ბეტომ.

ირაკლი გამყრელიძე

ნამდვილი სიცილიელი ქურდები

12207	ნანტი-პსჟ	1.40	2.50
12208	ნანსი-სოშო	1.45	2.20
12209	ლიონი-რენი	1.60	2.00
12211	ლე მანი-სტ.ეტიენი	1.45	2.30
12212	ბორდო-მეცი	1.55	2.10
12214	ოსერი-ტულუზი	1.60	2.00
12216	მონაკო-ლილი	1.55	2.10
12217	ლანსი-აიაჩო	1.55	2.10
12219	სტრასბური-ტრუა	1.60	2.00
12220	მარსელი-ნიცა	1.45	2.25

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო კი/არა)

13002	ნიუკასლი-ევერტონი	1.70	1.90
13003	ბირმინგემი-სანდერლენდი	1.70	1.90
13004	ბლეკბერნი-არსენალი	1.70	1.90
13005	ჩელსი-პორტსმუთი	2.10	1.55
13007	ჩარლტონი-ასტონ ვილა	1.70	1.90
13008	ლივერპული-სიტი	1.70	1.90
13010	ბოლტონი-ფულემი	1.70	1.90
13011	ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო	1.70	1.90
13076	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1.90	1.70
13078	ვოლფსბურგი-ჰანოვერი	1.70	1.90
13079	შალკე-ნიურნბერგი	1.90	1.70
13081	მაინცი-კაისერსლაუტერნი	1.70	1.90
13082	არმინია-დორტმუნდი	1.70	1.90
13083	ბაიერნი-აინტრახტი	2.10	1.50
13085	კიოლნი-ლევერკუზენი	1.70	1.90
13086	ჰამბურგი-შტუტგარტი	1.70	1.90
13087	დუისბურგი-ჰერტა	1.70	1.90
13140	რეჯინა-ლივორნო	1.70	1.90
13141	პარმა-ფიორენტინა	1.70	1.90
13143	პალერმო-მილანი	1.70	1.90
13145	სიენა-სამპდორია	1.70	1.90
13146	ემპოლი-ტრევიზო	1.70	1.90
13147	იუვენტუსი-ლეჩე	1.90	1.70
13149	ასკოლი-მესინა	1.70	1.90
13150	ინტერი-უდინეზე	1.90	1.70
13152	კალიარი-კიევო	1.90	1.70
13153	ლაციო-რომა	1.90	1.70
13184	ოსასუნა-დეპორტივო	1.70	1.90
13185	მალიორკა-რეალი	1.70	1.90
13187	ვალენსია-სეტაფე	1.70	1.90
13188	სარაგოსა-ბარსელონა	1.70	1.90
13190	სელტა-კადისი	1.70	1.90
13191	ბეტისი-სოსიედადი	1.70	1.90
13192	ალავესი-რასინგი	1.70	1.90
13193	ბილბაო-ვილიარეალი	1.70	1.90
13194	ატლეტიკო-მალაგა	1.70	1.90
13195	ესპანიოლი-სევილია	1.70	1.90
13207	ნანტი-პსჟ	1.70	1.90
13208	ნანსი-სოშო	1.70	1.90
13209	ლიონი-რენი	1.90	1.60
13211	ლე მანი-სტ.ეტიენი	1.70	1.90
13212	ბორდო-მეცი	1.90	1.60
13214	ოსერი-ტულუზი	1.70	1.90
13216	მონაკო-ლილი	1.70	1.90
13217	ლანსი-აიაჩო	1.80	1.60
13219	სტრასბური-ტრუა	1.70	1.90
13220	მარსელი-ნიცა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესული ფარდულად ჩაითვლება)

14002	ნიუკასლი-ევერტონი	1.70	2.10
14003	ბირმინგემი-სანდერლენდი	1.45	2.30
14004	ბლეკბერნი-არსენალი	2.00	1.80
14007	ჩარლტონი-ასტონ ვილა	1.70	2.10
14008	ლივერპული-სიტი	1.30	2.50
14010	ბოლტონი-ფულემი	1.55	2.30
14011	ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო	1.80	1.90
14076	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1.20	2.60
14078	ვოლფსბურგი-ჰანოვერი	1.80	1.90
14079	შალკე-ნიურნბერგი	1.20	2.60
14081	მაინცი-კაისერსლაუტერნი	1.70	2.20
14082	არმინია-დორტმუნდი	1.90	1.90
14083	ბაიერნი-აინტრახტი	1.08	2.80
14085	კიოლნი-ლევერკუზენი	1.90	1.90
14086	ჰამბურგი-შტუტგარტი	1.45	2.40
14087	დუისბურგი-ჰერტა	1.90	1.90
14140	რეჯინა-ლივორნო	1.85	1.95
14141	პარმა-ფიორენტინა	1.90	1.75
14143	პალერმო-მილანი	2.10	1.70
14145	სიენა-სამპდორია	1.80	1.90
14146	ემპოლი-ტრევიზო	1.60	2.30
14149	ასკოლი-მესინა	1.75	2.00
14150	ინტერი-უდინეზე	1.06	2.60
14152	კალიარი-კიევო	1.75	1.90
14153	ლაციო-რომა	1.90	1.90
14184	ოსასუნა-დეპორტივო	1.80	2.00
14185	მალიორკა-რეალი	2.50	1.30
14187	ვალენსია-სეტაფე	1.20	2.60
14188	სარაგოსა-ბარსელონა	2.30	1.55
14190	სელტა-კადისი	1.40	2.40
14191	ბეტისი-სოსიედადი	1.65	2.20
14192	ალავესი-რასინგი	1.80	2.00
14193	ბილბაო-ვილიარეალი	1.90	1.90
14194	ატლეტიკო-მალაგა	1.30	2.50
14195	ესპანიოლი-სევილია	1.90	1.90
14207	ნანტი-პსჟ	1.70	1.90
14208	ნანსი-სოშო	1.70	2.05
14209	ლიონი-რენი	1.20	2.60
14211	ლე მანი-სტ.ეტიენი	1.65	2.00
14212	ბორდო-მეცი	1.20	2.60
14214	ოსერი-ტულუზი	1.35	2.30
14216	მონაკო-ლილი	1.80	2.00
14217	ლანსი-აიაჩო	1.40	2.40
14219	სტრასბური-ტრუა	1.65	2.10
14220	მარსელი-ნიცა	1.60	2.30

საქართველოს ჩემპიონატი

სულ ცოტა ხნის წინ „თსუ-ნიკორასა“ და „თბილავიამშენს“ ჩემპიონატში სწორი არ ჰყავდათ, თუმცა საახალწლოდ გაჩარხული ტრანსფერების შემდეგ ამ დუეტს რუსთავის „აზოტიც“ შეუერთდა. დღესდღეობით ეს ტრიო ქმნის ჩემპიონატში ამინდს და მათ დაპირისპირებაზე უკეთესს ვერაფერს ნახავს ვერის ბაღში მისული გულშემატკივარი. ჰოდა, ამათგან ორი შეექიდება დღეს ერთმანეთს — „თსუ-ნიკორა“ „ავიამშენს“ ხვდება და ამ მატჩს სატურნიროზე მეტად პრინციპული მნიშვნელობა აქვს — ავიატორებმა ამ სეზონში ორივე მატჩი წააგეს სტუდენტებთან და ეს მათთვის თავმოყვარეობის ამბავია

ლევან მოსეშვილი

დავით უსტიაშვილი

ავიამშენმა შერმადინი ხუმრობით შეიმატა

მიუხედავად მატჩის მნიშვნელობისა, „ავიამშენის“ თავკაცი ლევან მოსეშვილი ხუმრობის ხასიათზე იყო და საამმატჩო პრესკონფერენცია ასეთი მოულოდნელი ამბით დაიწყო:

— მთავარი სიახლე ისაა, რომ „მაკაბიდან“ გიორგი შერმადინი შევიმატეთ. მას ჩვენს გუნდში კარგი სავარჯიშო პირობები ექნება და მისი მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი კმაყოფილია ამ ტრანსფერით...

ამის გაგონებაზე „სპორტკაფეში“ შეკრებილ ჟურნალისტთაგან რამდენიმეს თვალები ლამის შუბლზე აუვიდა, ხუხაშვილის ლამის შვილობილი შერმადინის სხვა ქართულ გუნდში გადასვლა მართლაც დაუჯერებელი ამბავია. მოსეშვილს სახეზე არ დასტყობია, რომ ხუმრობდა და რამდენიმე წამი ჟურნალისტები გაურკვევლობაში იყვნენ, თუმც მერე ავიატორთა თავკაცს გაეღიმა და...

ისე, სიმართლე ითქვას, ცოტა არ იყოს, ამ ერთფეროვან წინასამატჩო პრესკონფერენციას ბატონი ლევანის ხუმრობა წამალივით მოუხდა, რის შემდეგაც შედარებით სერიოზული საუბარი გაიმართა.

დავით უსტიაშვილი, „თსუ-ნიკორას“ მთავარი მწვრთნელი:

— ძნელია, შუა სეზონში გუნდის გამოცვლა. „დინამოდან“ თსუ-ზე გადაწყობას დრო უნდა და იმედი მაქვს, ამ საქმეს წარმატებით გავართმევ თავს. გუნდში ჩემთვის კარგად ნაცნობი მოთამაშეები არიან. ზოგიერთს ახალგაზრდულ ნაკრებში ვწვრთნიდი, ზოგთან ნათამაშებიც კივარ და მათთან ურთიერთობა არ უნდა გამიჭირდეს. რაც შეეხება „ავიამშენთან“ მატჩს, ვეცდებით, წარმატებას მივაღწიოთ და ლიდერობა შევინარჩუნოთ, ერთადერთი ტრავმირებული მიშა ბერიშვილია, რომელმაც თითი მოიტეხა.

ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი:

— წინა მატჩში ჩემმა გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა რუსთავში. ირაკლი ხოშტარიასა და გოჩა წოწელიას გარდა ყველა რაღაც შიშით თამაშობდა, რუსთაველი ქომაგებს უფრთხოდნენ თითქოს. თსუ-სთან გამარჯვება ძალიან გვინდა და საამისოდ არაფერს დავიშურებთ. არ გვეყოლება დავით ბერიშვილი, რომელსაც ფეხის ტრავმის მოშუშება გაუგრძელდა. სხვები მწყობრში არიან და კარგი თამაში უნდა გამოვიდეს.

ირაკლი პერტაია

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

21 თებერვალი

დეტროიტი 97:87 ატლანტა

დეტროიტი: ბილაფსი (19 ქულა, 15 პასი), ჰამილტონი (24), პრინსი (14), რ. ვოლესი (21 ქულა, 12 მოხსნა), ბ. ვოლესი (9 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება, 5 ჩაჭრა, 4 პასი); მაკდაისი (6), ევანსი (4), დელფინო, ჰანტერი, აკერი

ატლანტა: აივი (4), ჯონსონი (3), სმიტი (10 ქულა, 15 მოხსნა, 7 დაფარება, 5 პასი), ჰარინგტონი (20 ქულა, 10 მოხსნა), **ფაჩულია** (26 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა); ჩილდრესი (18), სტუდემაიერი (15), უილიამსი (13)

ვაშინგტონი 90:78 მინესოტა

ინდიანა 97:75 ნიუ ორლეანი

მილუოკი 85:89 ნიუ ჯერსი

დალასი 93:91 კლიპერსი

დენვერი 100:84 შარლოტი

საკრამენტო 102:77 გ. სტეიტი

ლეიკერსი 99:82 პორტლენდი

იუტა 83:103 ბოსტონი

სან ანტონიო 103:78 სიეტლი

მემფისი 94:88 ტორონტო

კლივლენდი 105:92 ორლანდო

22 თებერვალი

ატლანტა 109:114 სიეტლი

ატლანტა: აივი (6), ჯონსონი (18 ქულა, 11 პასი), სმიტი (14), ჰარინგტონი (24), **ფაჩულია** (21 წუთი, 5 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (20), უილიამსი (17), სტუდემაიერი (5), ბატისტა

სიეტლი: რიდნორი (15 ქულა, 12 პასი), ალენი (33), ლუისი (25 ქულა, 10 მოხსნა), კოლისონი (5), პეტრო (6); უილკოქსი (16), უილკინსი (7), ბრანსონი (4), მური (3)

ნიუ ჯერსი 96:93 ორლანდო

ნიუ ორლეანი 76:82 იუტა

ჩიკაგო 97:91 მილუოკი

პორტლენდი 106:110 შარლოტი

ფინიქსი 103:94 ბოსტონი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ჰიუსტონი 106:102 კლიპერსი

ნიუ იორკი 83:103 მაიამი

ფილადელფია 116:107 კლივლენდი

გაიკვირვე და მოგეცემა

ამ უქმეებზე ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ სლოვენიის თასი მოიგო და ამ საქმეში მანუჩარ მარკოიშვილს მნიშვნელოვანი წილი უდევს. ოლიმპიელთა ქართველმა ლეგიონერმა გასული კვირის სამივე სათასო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და უფრო ნახევარფინალსა და ფინალში გამოირჩა. ეს ამბავი განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან შვიდთვიანი უქმობის შემდეგ მარკოიშვილი ამ ახალი წლის დღეებში დაუბრუნდა მოედანს და ლიუბლიანელთა ლეგიონერებით გავსებული გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. ის სისტემატურად თამაშობს „ოლიმპიაში“ და, რაც მთავარია, უშედეგობას არ უჩივის

მარკოიშვილი და ოლიმპიას მწვრთნელი ერთმანეთს უმართლებენ

— ძალიან გახარებული ვარ, ამ თასის მოგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი გუნდისთვის.

— „ოლიმპია“ სლოვენიაში მუდამ ლიდერობდა და თასი კი არა, ჩემპიონობაც იშვიათად დაუთმია...

— ეგ მართალია, მაგრამ ახლა სხვა დროა. „ოლიმპია“ ჯერაც საუკეთესო სლოვენიურ გუნდად კი ითვლება, მაგრამ ძველებურად ვერ ნავარდობს და არაერთი კრიტიკოსიც გამოგვიჩნდა. ჩვენს გუნდში ახლა საკმაოდ ბევრი ლეგიონერია და ზოგიერთს ეს არ მოსწონს. ამ თასის მოგებით კრიტიკოსები დროებით გავაჩუმეთ.

— გაგიჭირდათ თასის მოგება?

— წინააღმდეგობა მხოლოდ ფინალში შეგვხვდა, „პივოვარნას“ საკმაოდ ძლიერი თავდასხმა ჰყავს. შეტევით რომ ვერ ვაჯობეთ, დაცვაში ჩავუსაფრდით და გავიმარჯვეთ კიდეც.

— მეოთხედფინალში ცოტა ისპასიურე, თუმცა მთლიანობაში საკუთარი თამაშით კმაყოფილი იქნები...

— კმაყოფილი ვარ, რა თქმა უნდა. ჩემს ქულებს რომ არ შევხედოთ, მხოლოდ ის რად ღირს, მწვრთნელი ძირითად ხუთეულში სისტემატურად რომ მათამაშებს. მეოთხედფინალს რაც შეეხება, ძალიან სუსტ გუნდს ვხვდებოდით და თავი არავის გამოგვიდვია. ის კი არა, მსაჯები „ლოკა კავას“ ეხმარებოდნენ, კატასტროფული სხვაობა რომ არ დაფიქსირებულიყო. მე მალევე ავკრიფე 4 პერსონალური და თამაშიდან 6 ქულით გავედი.

— ნახევარფინალში კი საუკეთესო იყავი...

— ფინალში გასასვლელად დიდი ბრძოლა გადავიტანეთ. ჩვენი მეტოქე მასპინძელი „დომჟალე“ იყო, რომელმაც გვარიანი წინააღმდეგობა გაგვიწია. ამ მატჩში თითქმის ყველაფერი გამომივიდა, სამიანებიც ჩავაგდე, ჯარიმებიც და ფარიდან ასხლეტილი ბურთებიც მოვხსენი. „დომჟალესთანაც“ და ფინალშიც „პივოვარნასთანაც“ მეტოქის ლიდერის დაჭერა მე მევალებოდა და რაკი ვიმარჯვეთ, გამოდის, მწვრთნელის დავალება წარმატებით შევასრულე.

— საკმაოდ წარმატებით თამაშობ, რაც ცოტა მოულოდნელია, ტერფის ოპერაციას თუ გავითვალისწინებთ...

— მეც გაკვირვებული ვარ, არ ვიცი, როგორ მოვახერხე ფორმის ასე სწრაფად აღდგენა. თუმცა მხოლოდ ჩემი მონდომებით ვერაფერს გავხდებოდი, მწვრთნელს რომ არ მოეცა შანსი. 6-7-თვიანი რეაბილიტაციის შემდეგ ექიმებმა დამრთეს თუ არა თამაშის ნება, მწვრთნელმა პირველივე მატჩში სასტარტო ხუთეულში გამამწესა. არ ვიცი, ეს რატომ გააკეთა, თვალდახუჭულს სჯეროდა ჩემი თუ სხვისი დაძირვა უნდოდა, ვერ გავიგე, მაგრამ, ფაქტია, რომ მოედანზე სისტემატურად ვატარებ 25-30 წუთს და, ჩემდა სასიხარულოდ, ცუდად არ ვთამაშობ.

— შენს პოზიციაზე „ოლიმპიას“ კიდევ ვინ ჰყავს?

— ამერიკელი ჯიმი ოლივერი, რომელიც ძალიან ძლიერი და გამოცდილი კალათბურთელია. არის კიდევ ერთი ახალგაზრდა ხორვატი, რომელიც უფრო მეტი ხნით იმსახურებს თამაშს, მაგრამ მწვრთნელი ძირითადად მე მანიჭებს უპირატესობას. ჩემი გადმოსახედიდან ისეთ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ მწვრთნელმა ალბათ უკეთ იცის.

— ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავ: კენჭისყრამ კვლავ ფინეთი გვარგუნა, რომელთანაც გასული წლის საკვალიფიკაციო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვე...

— ჯგუფი წინანდელზე გაცილებით სუსტია, თუმცა ეს მოდუნების მიზეზად არ უნდა იქცეს. ახლა ჯანზე ვარ და, ალბათ, ნაკრებსაც გამოვადგები. რაც შეეხება ფინეთს, ამ ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ტეემუ რანიკომ, რომელიც ჩემი თანაგუნდელია, მითხრა, ისევ თბილისში მომიწევს ჩამოსვლაო. ეს ისე გამოუვიდა, თითქოს არ სურდა ჩვენთან ჩამოსვლა. ისე, რატომ უნდა გახარებოდა, შარშანწინ ფინელები თბილისში დავამარცხეთ და იმ მატჩში მეც მივიღე მონაწილეობა. იმედია, ამჯერად ფინეთშიც ვიმარჯვებთ და A დივიზიონის საგზურსაც მოვიპოვებთ.

ირაკლი პერტაია

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

რუმინეთი VS საქართველო

25 თებერვალი. ბუქარესტი. გენჩა

დღეს საქართველს ნაკრები საფრანგეთის პატარა ქალაქ ბლუადან რუმინეთის მთავარქალაქ ბუქარესტში ჩაფრინდება, სადაც სახვალიო ჯახისთვის კარპატულ მიწას ფეხს შეაჩვევს. ჩვენების დასახვედრად მონდომებით ემზადებიან რუმინელებიც, რომლებიც ხუთი დღეა, მატჩის ადგილას შეიკრიბნენ და შინაურ-ლეგიონერიანად სრულყოფილი შეკრება გაიარეს. ევროპის ერთა თასის თითქმის გადამწყვეტი მატჩის ფავორიტად მისიანები არ მიაჩნია რუმინელთა მწვრთნელ **დანიელ მიტრეას**, *რომელიც ჩვენთან საუბარს სიამოვნებით დათანხმდა*

ჰარმონიული რუმინეთი VERSUS მობილური საქართველო

— ჩვენი გუნდის მზადებით კმაყოფილნი ვართ. აქვე ბუქარესტში შევიკრიბეთ და შეიძლება ითქვას, ასი პროცენტით მზად ვართ — გვითხრა დანიელ მიტრეამ ბუქარესტში რომ დავუკავშირდით.

— ესე იგი, საქართველოსთან მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდებით?

— დიახ, ასეა. ყველა მორაგბე ჯანზეა, დანაკლისი არ არის. შეკრებით ძალიან კმაყოფილები ვართ.

— პეტრე მიტუ ითამაშებს?

— აუცილებლად. ნაკრებში ის საგანგებოდ საქართველოსთან მატჩისთვის დაბრუნდა. მცირე ტრავმა ჰქონდა, მერე ოჯახური პრობლემები. ახლა ყველაფერი მოგვარდა და მხოლოდ მომავალ მატჩზე ფიქრობს. თქმა არ უნდა, ის ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა.

— იყო შემთხვევები, როცა მატჩის წინ ლეგიონერები ნაკრებში თამაშისთვის ფულს ითხოვდნენ. ახლა ამ მხრივ რა ვითარებაა?

— ეს პრობლემა აღარ გვაწუხებს. მსგავსი ქმედებები ერთხელ და სამუდამოდ მოისპო. ნაკრებში თამაშობს ის, ვისაც გულით უნდა ქვეყნის ღირსების დაცვა. ჩვენ არავის ვეხვეწებით. გუნდში სრული ჰარმონიაა.

— ამის გათვალისწინებით, ყველა ძლიერ მორაგბეს მოუყარეთ თავი?

— დიახ. ყველანი გუნდში არიან.

— აქამდე რუმინეთი და საქართველო ევროპის ერთა თასის ბოლო ტურში აპრილში თამაშობდნენ, ახლა კი თებერვალში უწევთ შეხვედრა. ტურნირის დასაწყისშივე ამგუნდების დაპირისპირება რამდენად გამართლებულია?

— არ ვიცი, რას ფიქრობენ ქართველები, მაგრამ ჩვენი აზრით, ადრეულ ეტაპზევე რუმინეთი — საქართველოს მატჩი წამგებიანია როგორც სპორტული, ასევე სანახაობრივი თვალსაზრისით. ერთ-ორი გამონაკლისის გარდა, თასის ბედს ყოველთვის ჩვენი შერკინება წყვეტდა და შეიძლება ითქვას, ტურნირი მთავარ ინტრიგას დასაწყისშივე კარგავს. რას ვიზამთ, რადგან ასე გადაწყდა, ესე იგი ასე იყო საჭირო.

— საქართველომ უკვე მოასწრო ერთი მატჩის თამაში. რუმინეთი კი სეზონს ახლა იწყებს. შარშან ირლანდიასთან გმართული ტესტის შემდეგ არც გითამაშიათ. ის მატჩი თქვენმა ნაკრებმა კარგად ჩაატარა. როგორ ფიქრობთ, ამხელა პაუზის შემდეგ რუმინეთმა შეძლო ფორმის შენარჩუნება?

— მართლს ბრძანებთ. ირლანდიას მართლაც ძალიან კარგად ვეთამაშეთ. იმ ფორმისგან შორს ვართ. რუმინეთის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, გუნდში კი ბლომად გვყავს შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები. ისინი იმ კონდიციაში არ არიან, რაც ჩვენ გვსურდა. არადა, რუმინეთში მოთამაშე მორაგბეებმა ირლანდიასთან „იფრინეს“. ჩვენც კი გაგვიკვირდა, ისე კარგად ითამაშეს. ახლა მთავარი დაწოლა ლეგიონერებზე გადავა. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ საქართველოს უპირატესობა აქვს. მე უბრალოდ ის ვთქვი, რომ „შინაური“ კადრების კონდიციები ბოლომდე არ გვაკმაყოფილებს.

— რა შეიძლება იყოს საქართველოს უპირატესობა ან მინუსი?

— ახლა ბუქარესტში ღრუბლიანი ამინდია და ძალიან ცივა. მატჩის დღეს ალბათ იწვიმებს კიდეც. მოედნის გრუნტი დამძიმებული იქნება, რაც ჩვენ ხელდახელი და კომბინაციური თამაშის საშუალებას არ მოგვცემს. უფრო კონტაქტური და ძალისმიერი თამაში იქნება. აქ კი საქართველოს აშკარა უპირატესობა ექნება. ქართველებს ფანტასტიკური ჯანის მობილური მორკინალები გყავთ. ამ შემთხვევაში მათი თამაში იქნება.

— საქართველოს ნაკრები კარგად შეისწავლეთ?

— აქამდე გამართული რუმინეთი — საქარველოს ექვსი მატჩის და ახლახან რუსეთთან მოგებული შეხვედრის ვიდეოფირი ვნახეთ. რუსეთთან მატჩი რაღაც განსაკუთრებული იყო. პირდაპირ გეტყვით, საქართველოს აქამდე არ ჰყოლია ასეთი კარგი ნაკრები. შერკინება გამოცდილი ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული, უკანა ხაზი კი ახალგაზრდულია და ისინი ძალიან ლაღად თამაშობენ. რგოლებს შორის იდეალური გაგებაა. მე ვიტყოდი, რომ დღეს რუმინეთი, საქართველო და პორტუგალია რეიტინგში ჩვენზე წინ მყოფ აშშ-სა და იაპონიას აშკარად სჯობიან.

ლადო ფულუკიძე
ბაჩო სვანიძე

ფრანგებმა გორგოძე რუმინეთში გაუშვეს

გუშინ საფრანგეთის რაგბის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა საქართველოს ნაკრების მორკინალს მამუკა გორგოძეს დისკვალიფიკაცია მოუხსნა. შეგახსენებთ რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მონპელიელი გორგოძე მსაჯმა მოედნიდან გააძევა, აქაოდა ჯგუფურ ჩხუბში შენც იქნევდი მუშტებსო. ვიდეოფირზე კი ნათლად გამოჩნდა, რომ გორგოძე უბრალო იყო. მიუხედავად გამართლებასა რუმინთთან გორგოძემ შესაძლოა მაინც ვერ ითამაშოს. „მამუკას მუხლი სტკივა და გადაწყვეტილი არაა, ითამაშებს თუ არა. მისი საკითხი ხვალ გაირკვევა“ — გვითხრა გუშინ ბორჯღალოსანთა მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ საფრანგეთიდან.

რუმინეთი

დამწყები გუნდი

15 იულიან დუმიტრასი (პო)
14 კატალინ ფერჩუ (არადი)
13 ჩაბა გალი (კლუჟი)
12 რომეო გონტინიაკი (ორიიაკი)
11 იოან ტოდერასკუ (კლუჟი)
10 იანუც დიმოფტე (არადი)
9 პეტრე მიტუ (ტარბი)
8 ოვიდიუ ტონიცე (პერპინიანი)
7 ალექსანდრუ მანტა (პო)
6 ფლორიან კოროდიანუ (გრენობლი)
5 კრისტიან პეტრე (ტარბი)
4 სორინ სოკოლი (აჟენი)
3 პეტრისორ ტოდერაშკი (ბრივი)
2 მარიუს ტინკუ (პერპინიანი)
1 პეტრე ბალანი (ბიარიცი)

მარქაში

16 ბოგდან ბალანი (მონტობანი)
17 იონ პულიცა (სტიაუა)
18 ვალენტინ ურსაჩე (არადი)
19 ალექსანდრუ ტუდორი (ვენეცია)
20 ლუჩიან სირბუ (რასინგი)
21 იანუც ტოფანი (ლიმოჟი)
22 დანუც დუმბრავა (სტიაუა)

ჩემპიონებს ჩემპიონებისგან

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლებს გვახსოვხართ ძველები: დავით ციმაკურიძე და ზურაბ ზვიადაური

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ზურაბ ზვიადაურმა, გიორგი ასანიძემ და ჯარჯი ზვიადაურმა ბიზნეს-პარტნიორებთან ერთად ახლახან კომპანია „ოლიმპი ბიზნეს ჯგუფი“ დააარსეს, გუშინ კი პირველი საქველმოქმედო აქცია გამართეს — საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში ოლიმპიურ ჩემპიონებს და მათ ოჯახებს შეხვდნენ და დაასაჩუქრეს.

ქართული სპორტის ლეგენდებს ასანიძე და ზაზა რაზიკაშვილი მიესალმნენ. ზურაბ ზვიადაურმა კი, სიტყვას საქმე სჯობსო და პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ციმაკურიძეს ტელევიზორი და დივიდი გადასცა. ანალოგიური პრიზები გადაეცათ მზია ჯაულელს, რაფაელ ჩიმიშკიანს, გელა კეტაშვილს, ნინო სალუქვაძეს, დავით ხახალეიშვილს და მუზეუმში შეკრებილ სხვა ჩემპიონებს. უსაჩუქროდ არც ისინი დარჩებიან, ვინც მიზეზთა გამო დღეს ჩვენს გვერდით არაა — გვითხრა ზვიადაურმა.

სპორტსმენების დაფასებისთვის და ზოგადად სპორტის გვერდით დგომისთვის „ოლიმპი ბიზნეს ჯგუფს“ მადლობა ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმაც გადაუხადა. ბოლო სიტყვა კი კომპანიის ხელმძღვანელ ზაზა რაზიკაშვილის იყო:

„ჩვენი კომპანიის ძირითადი პროფილი მშენებლობაა. დამფუძნებლები კი ოლიმპიური ჩემპიონები არიან და არ იქნებოდა, სპორტის გვერდით არ დავმდგარიყავით. მსგავსი სახის აქციები მომავალშიც იგეგმება. მშენებლობებისას კი სპორტს იმით დავეხმარებით, რომ ყველა შენობაში იქნება სპორტული დარბაზები.

კომპანია ფლაგმან ობიექტს საბურთალოს ბაზართან აშენებს და უკვე სახელიც შეურჩევიათ. მას „ოლიმპიური ვარსკვლავი“ ერქმევა.“

ოთარ მაღლაკელიძე

თამილა ასათიანი, ნინო სალუქვაძე და ნინო უჩაძე

გასროლა თბილისში

გუშინ ვაკეში ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. ოთხდღიანმა ტურნირმა ჩემპიონ-პრიზიორები ქალებს, მამაკაცებს, გოგონებსა და ჭაბუკებს შორის გამოავლინა. ჩემპიონატში თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. მოლოდინისამებრ, მედლების უმეტესობა დედაქალაქში დარჩა.

ქალებში ჩემპიონი ნინო სალუქვაძე გახდა. დაჯილდოების ცერემონიაც სწორედ ქალებით დაიწყო. მერე კი საქართველოს ნაკრების ლიდერმა დამჯილდოებლის ამპლუაში გადაინაცვლა.

ნინო სალუქვაძე: „ეს იყო რეპეტიცია ევროპის ჩემპიონატის წინ. შედეგებით კმაყოფილი დავრჩი. განსაკუთრებით კი პატარების სროლით. ბევრი მათგანი ტურნირზე სულაც პირველად გამოდიოდა. ევროპრველობაზე 2 მარტს მოსკოვში ხუთი მსროლელით უნდა გავემგზავროთ, მაგრამ ჯერაც არ ვიცით, საერთოდ მოვახერხებთ წასვლას თუ ვერა. გაურკვეველ მიზეზთა გამო სავიზო პრობლემის მოგვარებას არა და არ დაადგა საშველი. მით უმეტეს, თადარიგი დაახლოებით ერთი თვით ადრე დავიჭირეთ.“

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს ჩემპიონატი

პნევმატური

თბილისი. 20-23 თებერვალი

გოგონები

1 თეონა იაშვილი (თბილისი)
2 მეგი ქადაგიძე (თბილისი)
3 მარი გოგუაძე (თბილისი)

ჭაბუკები

1 ბექა გოგინაშვილი (თბილისი)
2 გიორგი ტურიაშვილი (თბილისი)
3 ირაკლი გაბაიძე (თბილისი)

ქალები

1 ნინო სალუქვაძე (თბილისი)
2 თამილა ასათიანი (თბილისი)
3 ნინო უჩაძე (ქუთაისი)

კაცები

1 გიორგი სვანიძე (ქუთაისი)
2 ზურაბ კიკვაძე (თბილისი)
3 მამუკა ბოსტოლანაშვილი (თბილისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდივარ

ვახტანგ მურვანიძე ტურინულ ტკივილებს თბილისში იშუშებს

გუშინ ოლიმპიურ კომიტეტში ოლიმპიური ჩემპიონები — ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე საჩუქრებს რომ არიგებდნენ, იქვე ტურინიდან დაბრუნებული ფიგურული მოციგურავე ვახტანგ მურვანიძეც ტრიალებდა და ოლიმპიური ნაკრების ექიმს ზურაბ კახაბერიშვილს ესაუბრებოდა. ტურინის ოლიმპიადაზე 28-ე ადგილზე გასულ მურვანიძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ და ბოლოს მოულოდნელი ამბავიც გავიგეთ.

— თბილისში პირადი საქმეების მოსაგვარებლად ჩამოვედი და ამასთან, ოლიმპიური ნაკრების ექიმს, ზურაბ კახაბრიშვილს გავესინჯები. ყველაფერი ერთად მტკივა — ტერფი, ბარძაყი, ფეხის კუნთები... რომელი ერთი ჩამოვთვალო, არც ვიცი. კახაბრიშვილმა წამლები გამომიწერა, ხვალ საავადმყოფოში გამსინჯავენ და მკურნალობის კურსს დამინიშნავენ.

— ტრავმები ტურინის ოლიმპიადაზეც გაწუხებდა?

— დიახ. ოლიმპიადამდე სამი კვირა არ მივარჯიშია, ყინულზეც კი არ გავსულვარ. ტურინში რომ ჩავედი, ოთხი დღე ვივარჯიშე და ისევ ის ფეხი ვიტკინე. ორი დღე დავისვენე და პირველივე ვარჯიშზე ისევ ძველი ტრავმა გამიმიზეზდა. ასე წვალებით ჩავამთავრე ოლიმპიადა.

— რომ არა ეს ტრავმა, რომელი ადგილის დაკავება შეგეძლო?

— ასე, მეათე-მეთხუთმეტეს დავიკავებდი. ვინც ამ ადგილებზე გავიდა, არავის ჩამოვუვარდებოდი, მაგრამ ტრავმის გამო ფორმაში არ ვიყავი. რას ვიზამთ, ასე გამოვიდა. გული ძალიან მწყდება. არადა, რომ არა საშინელი ტკივილები, სამმაგი და კომბინირებული ბრუნვები მეც კარგად გამომდის...

— საქართველოში იმკურნალებ?

— არა, ამ კვირას ამერიკაში მივფრინავ. ერთ კვირაში, ალბათ, ვარჯიშსაც დავიწყებ. წლეულს 20 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და იქ უნდა გამოვიდე.

— 26 წლის ხარ და, ალბათ, მომავალ ოლიმპიადაზეც აპირებ გამოსვლას...

— არა, ოლიმპიადაზე აღარ გამოვალ.

— ესე იგი, კარიერას ასრულებ?

— შეიძლება ასეც ითქვას. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ერთ-ორ ტურნირზე ვისრიალებ, მერე კი წავალ. მომავალ ოლიმპიადაზე ნაღდად არ ვიქნები.

— რატომ გადაწყვიტე ასე? ტურინის ოლიმპიადაზე წარუმატებლობამ ხომ არ გაფიქრებინა წასვლა?

— დავიღალე, ამდენი ტრავმა, იმედგაცრუება... თანაც, ნაოპერაციები ვარ, ვხვდები, რომ ამ ჯანმრთელობით შორს ვერ წავალ. ერთი სიტყვით, ვახტანგ მურვანიძე მიდის.

ბაჩო სვანიძე

მთის თხილამურობა

ქალები

სლალომი

1 ანია პიერსონი (შვედეთი) — 1.29,04
2 ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) — 1.29,33
3 მარლის შილდი (ავსტრია) — 1.29,79

AFP ტურინიდან

ინატრა და აისრულა

პიერსონმა თავისი ოქრო დაიჭირა

ანია პიერსონმა ბოლოს და ბოლოს მიაღწია საწადელს. შვედმა, რომელიც ბოლო ხუთწლეულის უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო მოთხილამურეა, პირველი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

პიერსონი სოლტ ლეიკ სიტიშიც ერთ-ერთი ფავორიტი იყო, მაგრამ იქ იანიცა კოსტელიჩმა თითქმის ყველაფერი მოიგო და სკანდინაველი მხოლოდ თითო ვერცხლსა და ბრინჯაოს დაჯერდა.

პიერსონს თითქოს ტურინშიც არ უმართლებდა და ბევრმა იმ სპორტსმენთა რიცხს მიათვალა, რომელთაც სწორედ ოლიმპიადებზე უკანკალებთ ფეხები და უდიდეს ოლიმპიურ დაძაბულობას ვერ უძლებენ.

შვედს ტურინში უკვე მოგებული ჰქონდა ორი ბრინჯაო, მაგრამ ის ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იტალიაში მხოლოდ ოქროსთვის ჩავიდა.

მან ნატვრა მაინც აისრულა, თან ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნისლიან დღეს, როცა ქალები სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

პიერსონმა თავიდანვე კარგად დაიწყო და პირველი ცდის შემდეგ სოლიდურადაც ლიდერობდა. მას კვალში ორი ავსტრიელი მისდევდა — ნიკოლ ჰოსპი და მარლის შილდი. თუმც შვედი მეორე ცდაზეც უშეცდომოდ ჩამოსრიალდა და ავსტრიელებს შანსი არ დაუტოვა.

„ძალიან რთული გზა გამოვიარე და ბოლოს და ბოლოს მაინც მივაღწიე მიზანს. კარგია, ოცნებები რომ სრულდება" — თქვა პიერსონმა დაჯილდოების წინ.

პოდიუმი კი იმავ ჰოსპმა და შილდმა შეავსეს და ავსტრიის სამთო მონაგარი უკვე თერთმეტამდე გაზარდეს. ამათაგან სამი ოქროა.

სულ რაღაც 0,15 წამი დააკლდა იანიცა კოსტელიჩს მესამე ადგილამდე. არადა, ხორვატს პოდიუმზე ასვლა რომ მოეხერხებინა, ტურინული მედლების მთლიან კომპლექტს მოუყრიდა თავს — იტალიაში მან უკვე მოიპოვა ოქრო და ვერცხლი. კოსტელიჩი ამას ვერც შემდეგ შეძლებს, ვინაიდან ტრავმის გამო არ აპირებს გიგანტურ სლალომში მონაწილეობას:

„ვფიქრობ, ჩემთვის დასრულდა ეს თამაშები. მე მგონი, დასვენება მჭირდება" — მოწყენილი იყო უკვე ცოცხალ ლეგენდად ქცეული კოსტელიჩი.

ბაჩა ლომაშვილი

გერმანელებს ხელი აუცდათ

ბიატლონი

ქალები

ესტაფეტა 4X6 კმ

1 რუსეთი (ანა ბოგალი, სვეტლანა იშმურატოვა, ოლგა ზაიცევა, ალბინა ახატოვა) — 1:16.12,5 (0)
2 გერმანია (მარტინა გლაგოუ, ანდრეა შენკელი, კატრინ აპელი, კატი ვილჰელმი) — 1:17.03,2 (1)
3 საფრანგეთი (დელფინ პიეტრო, ფლორენს ბევერელ-რობერი, სილვი ბეკარი, სანდრინ ბეილი) — 1:18.38,7 (0)

ზედმეტი თავდაჯერება არასოდეს არავის გამოსდგომია და არც გერმანიის ნაკრებს დაეხმარა.

ბიატლონის ქალთა ესტაფეტას ორი ფავორიტი ჰყავდა — გერმანია და რუსეთი. 1992 წლის ალბერვილის ოლიმპიადიდან მოყოლებული, რაც ქალთა ბიატლონი პროგრამაში შეიტანეს, ტევტონებმა ოთხივე ესტაფეტა მოიგეს. სლავები კი უკანასკნელი ორი მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულები არიან.

ეს დაპირისპირება წინასწარვე დიდ სანახაობას გვპირდებოდა, მაგრამ ოლიმპიადის მიმდინარეობისას გარკვეულ უპირატესობას გერმანელები დაეუფლნენ — ყბადაღებული დოპინგ-სკანდალის გამო ხომ რუსებს ხომ საუკეთესო ბიატლონისტი ოლგა პილოვა გამოაკლდათ. თუმცა გერმანელებმა ვერც ეს გამოიყენეს. რუსები ერთობ კონცენტრირებულები იყვნენ და გერმანელებს მეხუთე საესტაფეტო ოქრო აღარ მოაგებინეს.

პილიევას შეცვლა ანა ბოგალის დაევალა. იგი რუსთა სუსტ წერტილად სახელდებოდა, რის გამოც სლავთა სამწვრთნელო შტაბმა ტრასაზე პირველი გაუშვა. თუმცა სორედ ბოგალი აღმოჩნდა რუსთა გამარჯვების მესაძირკვლე — მან აჯობა გამოცდილ მარტინა გლაგოუს და სვეტლანა იშმურატოვას 20-წამიანი უპირატესობა გადასცა.

ამის შემდეგ რუსები მეთოდურად ზრდიდნენ სხვაობას. უნდა აღინიშნოს გერმანელ მწვრთნელთა შეცდომაც, რომლებმაც გამოცდილ უში დიზლის მაგივრად მესამე ნომრად კატრინ აპელი დააყენეს. კი, დიზლი ტურინში უფერულად გამოიყურება, მაგრამ მისი გამოცდილება და სისწრაფე ტევტონებს გვარიანად დაეხმარებოდათ.

აპელმა კი ვერ გაამართლა მწვრთნელთა ნდობა და საზიზღრად ისროლა. ამის გამო მან ერთი საჯარიმო წრეც დაარტყა და ოლგა ზაიცევა წინ წუთზე მეტით გაუშვა.

გერმანელებს მეოთხე ნომრად კატი ვილჰელმი კი ჰყავდათ, მაგრამ ის მხოლოდ თავისი ძალებით ვერაფრით შეძლებდა ალბინა ახატოვას დაწევას. ამისთვის რუსსაც უნდა „შეეწყო" ხელი და სროლისას შეფერხებულიყო, მაგრამ ტურინში რუსები არცთუ ცუდად ისვრიან, ასე რომ...

არც ახატოვა აღმოჩნდა გამონაკლისი — მანაც უშეცდომოდ ისროლა, რის შემდეგაც ცხადი იყო, რომ ოლიმპიადებზე გერმანიის ნაკრების ბატონობა დამთავრდა.

ბაჩა ლომაშვილი

AFP ტურინიდან

რუსმა ბიატლონისტმა ქალებმა გერმანელებს ოქრო აართვეს

მედლები

	ო	ვ	ბ	სულ
1 გერმანია	9	10	5	24
2 ავსტრია	8	6	5	19
3 რუსეთი	8	3	8	19
4 აშშ	7	8	5	20
5 კანადა	5	8	6	19
6 შვეიცარია	5	4	4	13
7 შვედეთი	5	2	4	11
8 ს. კორეა	4	3	1	8
9 იტალია	4	-	6	10
10 საფრანგეთი	3	2	4	9
11 ესტონეთი	3	-	-	3
12 ნორვეგია	2	8	8	18
13 ჩინეთი	2	3	4	9
14 ჰოლანდია	2	2	3	7
15 ხორვატია	1	2	-	3
16 ავსტრალია	1	-	1	2
17 იაპონია	1	-	-	1
18 ფინეთი	-	3	3	6
19 ჩეხეთი	-	2	-	2
20 ბელარუსი	-	1	-	1
21 ბრიტანეთი	-	1	-	1
22 ბულგარეთი	-	1	-	1
23 სლოვაკეთი	-	1	-	1
24 უკრაინა	-	-	2	2
25 ლატვია	-	-	1	1

AFP ტურინიდან

ეს ის კანადა არ იყო

ჰოკეი

22 თებერვალი
მეოთხედფინალი
შვედეთი 6:2 შვეიცარია
2:1 3:0 1:1
1:0 ჰ. სედინი (4), 1:1 შტრაიტი (9), 2:1 მოდინი (14), 3:1 ზეტერბერგი (23), 4:1 სუნდინი (30), 5:1 სუნდინი (33), 5:2 ჟენი (35), 6:2 პოლსონი (49)

როგორც გაირკვა, შვედები ტყუილად არ ირჩევდნენ მეტოქეს ჯგუფურ ეტაპზე. შვეიცარიელებმა მანამდე ამოწურეს თავიანთი ძალები და ფავორიტებს მოგება აღარ გასჭირვებიათ.

„მატჩის წინ სულ ბელარუსთან იმ ავადსახსენებელ თამაშზე ვფიქრობდით. იმის შემდეგ სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და დღეს ის კოშმარი აღარ განმეორდა“ — შვედების ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა წინა ოლიმპიადაზე მომხდარი სენსაცია გაიხსენა. მაშინ შვედები მოულოდნელად დამარცხდნენ ბელარუსთან მეოთხედფინალში და ერთხელ და სამუდამოდ შეივნეს, რომ ოლიმპიადაზე სუსტი მეტოქე არ არსებობს. ამიტომაც „ვიკინგები“ პირველი წუთებიდანვე უაღრესად მობილიზებულები იყვნენ და მანამდე არ მოისვენეს, სანამ ანგარიშში სხვაობა ოთხ შაიბამდე არ გაზარდეს.

რუსეთი 2:0 კანადა
0:0 0:0 2:0
1:0 ოვეჩკინი (42), 2:0 კოვალიოვი (60)

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ 2002 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მრისხანე კანადამ უკვე მეოთხედფინალებში დაყარა ფარ-ხმალი და მედლებისთვის ბრძოლას ასე უცერემონიოდ გამოეთიშა. კიდევ უფრო საოცარი კი ისაა, რომ ტურნირზე ერთი თამაშიც ვერ ვიხილეთ ისეთი, როგორიც ამ ყოჩაღი ჰოკეისტებით დაკომპლექტებულ გუნდს ეკადრებოდა. რუსებთან 0:2 მარცხი კანადელთა ტურინული ვოიაჟის ლოგიკური დასასრული გახლდათ. ეს კანადა ოქროს არ იმსახურებდა.

ჰოკეის ისტორიას ამ ორი უდიდესი გუნდის პაექრობაში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი თამაში შემორჩა, მაგრამ ასეთი მართლაც არ გვახოვს. ეს იყო ორი გამოწრთობილი მებრძოლის ტაქტიკური თამაში, თუ გნებავთ, „ჭადრაკი“, რომელშიც ერთი მეორეს შეცდომას ელოდა და უფრო ჩეხეთი — შვედეთის ან სხვა ევროპელი გუნდებისათვის ჩვეულ შეხვედრას წააგავდა. არც რუსები და მით უმეტეს, არც კანადელები არასდროს ყოფილან ზედმიწევნით გათვლილი თამაშის მოყვარულნი, მეტოქეები აშკარად უფრთხოდნენ ერთმანეთს და დაცვას უფრო აქცევდნენ ყურადღებას. ამან რუსებს უფრო შეუწყო ხელი, ვინაიდან კანადა მისთვის ჩვეული ძალისმიერი თამაშისა და ეგრეთ წოდებული „ფორჩეკინგის“, ანუ ტოტალური ზეწოლის გარეშე უკვე კანადა აღარაა. ეგებ ამ ნაკრებს მეტის გაკეთება არც შეეძლო, მაგრამ ეს უკვე უეინ გრეცკისა და მისი შტაბის პრობლემაა.

პირველ და მეორე პერიოდშიც რუსები მაინც უკეთ გამოიყურებოდნენ და მეტი შანსი ჰქონდათ, მესამეში კი როგორც იქნა მიაღწიეს თავისას. ალექსანდრ ოვეჩკინი მთელი მატჩის განმავლობაში ატერორებდა მეტოქის დაცვას და 42-ე წუთზე ვიქტორ კოზლოვის უზუსტესი პასის შემდეგ ოსტატურად გადაგზავნა შაიბა კარში. კანადელები მხოლოდ მატჩის ბოლოს გააქტიურდნენ და ერთი-ორი რეალური შანსი შეექმნათ კიდეც, მაგრამ რუსთა მეკარე ევგენი ნაბოკოვმა საუცხოოდ ითამაშა. საბოლოოდ, კვანძი მე-60 წუთზე გაიხსნა, როცა კრის პრონგერის გაძევების გამო კანადელებს შტურმის მაგივრად საკუთარი კარის დაცვაზე მოუხდათ ზრუნვა. მაგრამ ანდრეი მარკოვის უზუსტესი დიაგონალური პასის შემდეგ ალექსეი კოვალიოვმა მეორე გოლი გაიტანა.

„არ ვიცი, რატომ, მაგრამ დღითი დღე ჩვენი თამაში უფრო და უფრო დაულაგებელი და ექსპერიმენტული ხდებოდა. სამწუხაროდ, ერთიანობა გვაკლდა“ — თქვა კანადელთა კაპიტანმა ჯო საკიკმა, რომლის გუნდმა ტურნირის 6 მატჩიდან სამში (!) გოლიც ვერ გაიტანა.

ფინეთი 4:3 აშშ
2:1 2:1 0:1
1:0 პელტონენი (10), 2:0 სალო (13), 2:1 კნუბლი (14), 2:2 შნაიდერი (22), 3:2 ო. იოკინენი (26), 4:2 ო. იოკინენი (38), 4:3 ჯიონტა (56)

„ის დრო, როდესაც ნჰლ-ელი პროფების გვეშინოდა, წარსულს ჩაბარდა, ახლა ჩვენ ყველანი ერთ ლიგაში ვთამაშობთ, ერთ საქმეს ვაკეთებთ და ერთნაირ ლუდსა ვსვამთ, ასე რომ, ყველანი ერთნაირები ვართ“ — თქვა ფინელთა ლიდერმა ტეემუ სელიანემ. დიახ, ასეთმა თავდაჯერებულობამ ბევრად განაპირობა „სუომისა“ და აშშ-ს ნაკრების ბრძოლის ბედი. მაშინაც კი, როცა ამერიკელებმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს და ბოლო წუთებზე შანსი მიეცათ, ფინელები სულაც არ აღელდნენ და მშვიდად დაიცვეს საკუთარი კარი. თანაც, წინა მატჩებისაგან განსხვავებით, ამჯერად ფინელთა ყველა სამეულმა გამოიღო ხელი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოლი იოკინენმა — მეორე პერიოდში მან ორი გოლი გაიტანა. აშშ-ს ნაკრების წევრებმა კი მატჩის შემდეგ ფილოსოფოსობა დაიწყეს. „არა მგონია, რომ აშშ-მ ოდესღაც კიდევ ერთი „ყინულის სასწაული“ მოახდინოს. ეგებ კიდევ მოვიგოთ რამე, მაგრამ ეს უკვე სასწაულის კი არა, ნამდვილად ძლიერი და სტაბილური თამაშის წყალობით უნდა მოვახერხოთ“ — თქვა ნაკრების თავკაცმა პიტერ ლავიოლეტმა.

ჩეხეთი 3:1 სლოვაკეთი
1:0 1:0 1:1
1:0 რუჩინსკი (13), 2:0 ჰეიდუკი (29), 2:1 გაბორიკი (44), 3:1 სტრაკა (60)

ვერაფერს ვიტყვით, ყველაზე წინდახედული ჩეხეთის ნაკრები აღმოჩნდა. პირველ ეტაპზე ჩატარებული ხუთი მატჩიდან მათ ფაქტობრივად მხოლოდ ორი პერიოდი ითამაშეს სერიოზულად და მათთვის სასურველი მეტოქე მოიხელთეს. თითქოს ყოფილი თანამემამულეების დაპირისპირებას ყოველთვის პრინციპული ხასიათი აქვს, მაგრამ გადამწყვეტ მატჩებში სლოვაკები ვერ აღწევენ თავს „უმცროსი ძმის“ კომპლექსს და აზარტი და ჟინი აკლიათ.

ამჯერადაც ასე მოხდა. თამაში ჩეხების კარნახით დაიწყო და ისინი კონტრშეტევებში საუცხოოდ იყენებდნენ თავიანთ შანსებს. ალბათ, გადამწყვეტი ჩეხთა პირველი შაიბა გახდა, რომელიც მარტინ რუჩინსკიმ უმცირესობაში მიროსლავ შატანის

24 თებერვალი
ნახევარფინალი
შვედეთი — ჩეხეთი
რუსეთი — ფინეთი

ფიგურული სრიალი. ქალები

		მოკლე	თავისუფ.	ჯამი
1	შიძუკა არაკავა (იაპონია)	66.02	125.32	191.94
2	საშა კოენი (აშშ)	66.73	116.63	183.36
3	ირინა სლუცკაია (რუსეთი)	66.70	114.74	181.44
4	ფუმიე სუგური (იაპონია)	61.75	113.48	175.23
5	კიმი მაისნერი (აშშ)	59.40	106.31	165.71
6	ჟოანი როშე (კანადა)	55.85	103.79	160.87
7	ემილი ჰიუზი (აშშ)	57.08	103.79	160.87
8	სარა მეიერი (შვეიცარია)	55.57	100.56	156.13
9	კაროლინა კოსტნერი (იტალია)	53.77	99.73	153.50
10	ელენე გედევანიშვილი (საქართველო)	57.90	93.51	151.46

AFP ტურინიდან

საშა კოენი, შიძუკა არაკავა და ირინა სლუცკაია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ზაზა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00